ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

ორშაბათი, 1 მაისი, 2017 №101 (7336) ფასი: 50 თეთრი

## ხურჩაში რუსებმა საოკუპაციო საზღვარი გადმოსწიეს

გვ.5



27 აპრილიდან

სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი




# კალაძე და ქუმსიშვილი პრემიერობისთვის იბრძვიან?

## ვინ აპირებს გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების გასაჯაროებას



არ არის გამორიცხული, გაზპრომთან გაფორმებული შეთანხმება ნაციონალების ხელში აღმოჩნდეს. კალაძის უწყებაში დღემდე ბევრი ნაციონალია და მათ საკმაოდ მაღალი პოსტები უკავიათ. გვ.4

## „შორენა თეთრუაშვილთან ერთად, მეუფე იაკობისა და მამა დავით ქინქარაულის მკვლელობაც იგეგმებოდა“







„ციანიდის ოპერაცია დაბალ დონეზე იყო დაგეგმილი და ამაში ეპისკოპოსების მონაწილეობის ნიშნები არ ჩანს, რადგან ეპისკოპოსებს საკმაო გავლენა აქვთ და მათ მამა გიორგის ჩარევა არ დასჭირდებოდათ“ გვ.4

## კონსტანტინე გამსახურდია: „საარჩევნო ბარიერი, ბლოკების აკრძალვის ფონზე, ძალიან მაღალია“

გვ.2





ISSN 1987-9385

## გიორგი მარგველაშვილი: „წარმოიდგინეთ, შედის მთავარსარდალი თავდაცვის საბჭოში: ბატონო პრეზიდენტო, ომია და რას გვეტყვით? — მან კი არ იცის, რა უნდა მოიკითხოს“

გვ.2

გვ.3



## გურამ ვახტანგაშვილი: „ცხინვალში უფროსად მეც რომ დამნიშნონ, ურუსეთოდ ნაბიჯს ვერ გადავდგამ“

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# კონსტანტინე გამსახურდია: „საარჩევნო ბარიერი, ბლოკების აკრძალვის ფონზე, ძალიან მაღალია“

ნათია ხურცილავა

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი კონსტანტინე გამსახურდია „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო კონსტანტინე, ოპოზიციურ ფლანგზე რა კორექტივებს შეიტანს დავით უსუფაშვილის დაბრუნება ახალი პარტიით? როგორც მან თქვა, ის ცენტრისტულ პარტიას ქმნის.***

— საქართველოში არიან მემარცხენე პარტიებიც, მემარჯვენე ორიენტაციის, ალბათ, უფრო მემარჯვენეები და კიდევ ერთი ახალი პარტია შეიქმნება. ეს ახალი პარტია თავს აფიქსირებს სწორედ ამ ლანდშაფტში, თუმცა, კონსტიტუციის ახალი პროექტით საერთოდ შეიძლება აიკრძალოს საარჩევნო ბლოკები, საარჩევნო ალიანსები, რაც ყოვლად მიუღებელი და დაუშვებელი მგონია. ამის შედეგად მივიღებთ იმას, რომ ალბათ ვერც ერთი პარტია პარლამენტში ვერ მოხვდება, გარდა ორი პარტიისა. ცხადია, ვგულისხმობ ნაციონალურ მოძრაობასა და „ქართულ ოცნებას“. ორპარტიული სისტემა ერთხელ და სამუდამოდ ჩაცემენტდება.



***— ორპარტიული სისტემის ჩამოყალიბებაა ხელისუფლების მიზანი?***

— ეს არის მიზანი, მაგრამ, თუ გარკვეულ დაფინანსებას გამოუნახავენ რომელიმე ერთ პარტიას, ალბათ, ის შევა პარლამენტში, მაგრამ ეს უნდა იყოს ნება, რომელიც მოდის არაფორმალური მმართველობიდან. შეიძლება, კიდევ ერთმა პარტიამ გადალახოს ბარიერი. ამას სულაც არ გამოვრიცხავ.

***— თუ მიზანი ორპარტიული სისტემაა, მაშინ რატომ?***

— ვინაიდან საპარლამენტო მოდელისკენ მივდივართ და მრავალპარტიული პარლამენტი უფრო ევროპული გამოცდილებაა, შეიძლება, ეს იყოს ერთგვარი არგუმენტი. თუმცა, ეს უნდა იყოს ძალიან გამოკვეთილი ნება და ძალიან სერიოზული ფინანსური რესურსი უნდა დაიხარჯოს, რაც დღეს არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ გააჩნია და არც ბიზნესს აქვს რაიმე სურვილი, დღეს რომელიმე ოპოზიციური პარტია დააფინანსოს.

არის ერთადერთი მოდელი, შეიქმნას ერთი პარტია, სადაც სხვა ლიდერები ჩაეწერებიან. გადალახავს ეს პარტია ბარიერს და შემდეგ თავიანთ პარტიებში გააგრძელონ მოღვაწეობა. ეს არის ერთადერთი გამოსავალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა არსებული პარტია ერთ პროცენტამდე ჩამოლაბორანტდება, ზოგი კი, შეიძლება — უფრო დაბალ ნიშნულამდეც.

***— 5% მაღალი ბარიერია?***

— ძალიან მაღალია. იმ ქვეყნებში, სადაც აკრძალულია საარჩევნო ბლოკები და ალიანსები, ყველგან დაბალი საარჩევნო ბარიერია.

***— მისაღები ბარიერი როგორი იქნებოდა?***

— იმ ქვეყნებში, რომლებზეც მოგახსენეთ, 2%-იანი ბარიერია, ჩვენთან კი 5%-იანია. რეალურად მიზანი გასაგებია. მიზანი ორპარტიული სისტემის განმტკიცება და საბოლოოდ დამკვიდრებაა.

***— თუმცა არჩევნებზე ძალიან მაღალი იყო ამომრჩევლის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც არ მივიდა.***

— რა თქმა უნდა, ძალიან მაღალი იყო.

***— ეს საზოგადოება მესამე ძალის მოლოდინშია?***

— რა თქმა უნდა, არის. კვლავ ვიმეორებ, თუ იქნება ნება, შეიქმნება მესამე ძალა და ეს ძალა აუცილებლად გადალახავს ბარიერს.

***— საარჩევნო ბარიერთან დაკავშირებით, შეიძლება, დათმობაზე წავიდეს მმართველი გუნდი, თუ ვენეციის კომისიის დასკვნა დადებითი არ იქნება ამ საკითხზე?***

— ძალიან მეეჭვება, რომ მმართველი გუნდი რამე დათმობაზე წავიდეს, მით უფრო — სწორედ საარჩევნო ბარიერის დაწევის კუთხით. ამაზე, ალბათ, არ წავლენ. თუმცა, ხელისუფლებას რამდენიმე ძვალი აქვს: ერთი ძვალი უკვე გადაუგდეს ოპოზიციას, ვგულისხმობ მაჟორიტარული არჩევნების გაუქმებას, თუმცა, აქ უნდა აღვნიშნო, რომ გამოსავალი ორპალატიანი პარლამენტის ამოქმედება იქნებოდა. მეორე ძვალი ქართულ ტრადიციებზე ორიენტირებულ საზოგადოებას გადაუგდეს.

***— რას გულისხმობთ?***

— კონსტიტუციაში ქორწინების დეფინიციის განსაზღვრას, პირდაპირ ჩაწერას. მესამე ძვალი კი უნდათ, მედასავლეთე სამოქალაქო სექტორს გადაუგდონ და კონსტიტუციაში ჩაწერონ საქართველოს ევროატლანტიკური ორიენტაცია და მისწრაფებები. ეს არის სამი ძვლის პოლიტიკა. სხვა არსებით ცვლილებას არ ველოდები.

# გიორგი მარგველაშვილი: „წარმოიდგინეთ, შედის მთავარსარდალი თავდაცვის საბჭოში: ბატონო პრეზიდენტო, ომია და რას გვეტყვით? — მან კი არ იცის, რა უნდა მოიკითხოს“

— საქართველოს პრეზიდენტისთვის, როგორც მთავარსარდლის, უფლებამოსილების შესუსტება არის ნაბიჯი, რომელიც შეიძლება პოლიტიკური მოტივაციით არის განპირობებული, თუმცა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ნამდვილად არ არის სწორი ნაბიჯი, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა დღეს ახალციხეში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან დებატებისას ისაუბრა.

საქართველოს პრეზიდენტმა სტუდენტებთან სიტყვით გამოსვლისას უშიშროების საბჭოს როლზე ისაუბრა და განაცხადა, რომ იმ გამოწვევების ფონზე, რაც დღეს საქართველოს აქვს, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა შესუსტდება თუ გვეყოლება სუსტი მთავარსარდალი.

— თავდაცვის შესუსტების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი არის უშიშროების საბჭოს გაქრობა. კონსტიტუციიდან ამოღებულია ის მთავარი ორგანო, რომელიც პრეზიდენტს, როგორც უმაღლეს მთავარსარდალს, აძლევს რჩევებს როგორც მშვიდობიანობის, ასევე ომის პირობებში. ეს ორგანო შეცვლილია თავდაცვის საბჭოთი, რომელიც ფუნქციონირებს მარტო ომის დროს. ახლა წარმოიდგინეთ ქვეყანა, რომელსაც ასეთი გამოწვევები აქვს, როგორც საქართველოს. თანამედროვე ვითარებაში ომი ძირითადად ხორციელდება ჰიბრიდული ომის მეშვეობით. ძირითადად კონვენციური ომი ფაქტობრივად აღარ იწარმოება.

ამ ვითარებაში უმაღლესი მთავარსარდალი დატოვებულია იმ მთავარი სათათბირო ორგანოს გარეშე, რომლითაც უნდა აწარმოოს დაპირისპირება მოწინააღმდეგესთან, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

გიორგი მარგველაშვილმა მთავარსარდლის ფუნქცია-მოვალეობებსა და ომის დროს მისი მზაობის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

— წარმოიდგინეთ უმაღლესი მთავარსარდალი, რომელიც, ასე ვთქვათ, უსაფრთხოების თაობაზე, როგორც თითოეული მოქალაქე, იღებს ინფორმაციას სხვადასხვა წყაროებიდან. ასეთი მთავარსარდლის შემთხვევაში იწყება ომი. შედის მთავარსარდალი ამ თქვენ მიერ ნახსენებ თავდაცვის საბჭოში და არც იცის, რა უნდა მოიკითხოს, რადგან სამხედრო სპეციფიკასთან არასდროს ჰქონია შეხება — რას გულისხმობს ჯარების მობილიზაცია, რა რესურსი გააჩნია სახელმწიფოს ჯარების მობილიზების და რეზერვის თვალსაზრისით. გამარჯობა, ბატონო



პრეზიდენტო, ომია. რას გვეტყვით? აი ჩვენები, აი მტერი და რას იტყვით? — ეს ანეკდოტური სიტუაციაა. პრეზიდენტი იმ მომენტში იწყებს ომზე ფიქრს. წარმომიდგენია, ასეთი პრეზიდენტის თავში რა უნდა ტრიალებდეს. საიდან შეხედოს რუკას, ესეც პრობლემა იქნება.

ამ ვითარების შექმნა საქართველოში, ჩემი აზრით, ძალიან არასწორი ნაბიჯია. ნაბიჯი, რომელიც შეიძლება პოლიტიკური მოტივაციით არის განპირობებული, მაგრამ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისთვის ნამდვილად არ არის სწორი ნაბიჯი, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

მისივე თქმით, არ შეიძლება საქართველოს ჯარის დატოვება მთავარსარდლის გარეშე.

— როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ ნატო-ში ინტეგრაციაზე, როდესაც ვსაუბრობთ იმ დიდ გმირობაზე, რომელსაც სჩადიან ჩვენი ჯარისკაცები ყოველდღე როგორც საქართველოს თავდაცვისთვის, ასევე საერთაშორისო მისიებში, არ შეიძლება ამ ჯარის დატოვება მთავარსარდლის გარეშე. სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობების კლასიკური გაგებით, ჯარის ნებისმიერი გადაადგილება რამდენჯერმე გადამოწმებული უნდა იყოს. ამ ვერსიაში პრემიერ-მინისტრს აქვს მშვიდობიანობის პერიოდში ჯარების გადაადგილების უფლება ისე, რომ არ უნდა გადამოწმდეს ეს განკარგულება საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ეს, თავის მხრივ, არის თავდაცვისუნარიანობის კუთხით არასწორი მიდგომა, — განაცხადა მარგველაშვილმა.

# გიორგი კვირიკაშვილი: „2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კატასტროფა ამერიკის ჩართულობამ აგვაცილა“



— შარშან ჩვენ აღვნიშნეთ საბჭოთა კავშირისგან საქართველოს გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავი. ეს იყო ისტორიული მომენტი ჩვენთვის, რომლის შემდეგაც შეიძლება მხოლოდ წინსვლა და არც ერთი ნაბიჯი უკან, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, გიორგი კვირიკაშვილმა აშშ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართულ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველომ აირჩია დასავლური გეზი და მას შემდეგ უკან აღარ მიუხედავს.

— ამ მოკლე ისტორიულ პერიოდში ჩვენმა პატარა ქვეყანამ დაძლია სიღარიბე, გამოიარა სამოქალაქო ომი, რუსეთის შემოჭრა ჩვენს ტერიტორიაზე და მისი ნაწილის ოკუპაცია მეზობლის მიერ, რომელიც სიდიდით ბევრად აღემატება საქართველოს. მიუხედავად ყველაფრისა, მიუხედავად გარე თუ შიდა გამოწვევებისა, ჩვენ მაინც შევძელით 70-წლიანი ტოტალიტარული მმართველობით დაკნინებული ქვეყნის გარდაქმნა თანამედროვე, დემოკრატიულ და დინამიურ სახელმწიფოდ.

მართალია, წინ კიდევ დიდი შრომა გველის, მაგრამ ჩვენი ურყევი გადაწყვეტილებაა საქართველოს ჩამოყალიბება სამაგალითო ინსტიტუციური დემოკრატიის მქონე ქვეყნად.

რასაკვირველია, ამ წარმატებისთვის ერთპიროვნულად არ მიგვიღწევია. ჩვენ გვერდში მეგობრები და მოკავშირეები იდგნენ, პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატები. ჩვენ დიდად დავალებულნი ვართ და მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ამ ვალის დაბრუნება და ჩვენი საერთო ღირებულებების დაცვა, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ დახმარებებზე გაამახვილა ყურადღება.

— აშშ გვერდში გვედგა ჩვენი შეიარაღებული ძალების გაწვრთნასა და შეიარაღებაში, ასევე დემოკრატიის განმტკიცებაში. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ამერიკის ჩართულობამ აგვაცილა კატასტროფა. თავად მძიმე ფინანსურ კრიზისში მყოფმა ამერიკის მთავრობამ, როგორც საერთაშორისო დონორული ძალისხმევის მონაწილემ, ერთი მილიარდი დოლარი გამოყო ომისგან დაზარალებული ქვეყნის აღსადგენად.

გარდა ამისა, აშშ-ის აქტიური ხელშეწყობით საქართველომ მიიღო დაფინანსება ინფრასტრუქტურის განსავითარებლად და ეფექტიანი კადრების მოსამზადებლად, რისთვისაც განხორციელდა ინვესტიციები განათლების სფეროში, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ტექნოლოგიის სფეროში, საინჟინრო და მათემატიკის მიმართულებებში — ყოველივე ეს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის ორი კომპაქტის წყალობით მოხდა.

2009 წელს საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააფორმეს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტია, რომელიც დღესაც წარმოადგენს ჩვენი ფართო და სულ უფრო მზარდი ორმხრივი თანამშრომლობის ორგანიზებისა და პრიორიტეტების დადგენის მთავარ მექანიზმს, — აღნიშნა მთავრობის მეთაურმა.

როგორც პრემიერმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, საქართველო ძალღონეს არ იშურებს, რათა მომავალშიც იყოს რეგიონში დემოკრატიული ღირებულებების, სტაბილურობისა და პროგრესის მისაბაძი მაგალითი.

— აშშ უყურებს საქართველოს, როგორც ერთგულ მეგობარს — სტაბილურ გეოპოლიტიკურ მოკავშირესა და სტრატეგიულ პარტნიორს, — განაცხადა პრემიერმა.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გურამ ვახტანგაშვილი: „ცხინვალში უფროსად მეც რომ დამნიშნონ, ურუსეთოდ ნაბიჯს ვერ გადავდგამ“

## „ერგნეთის ბაზრობა უნდა აღდგეს“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი „ახალ თაობას“ ცხინვალის რეგიონთან დაკავშირებულ პროცესებზე ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, როგორ აფასებთ ცხინვალში მიმდინარე პოლიტიკურ ცხოვრებას?***

– უარყოფითად. ძალიან უარყოფითად ვაფასებ.

***– ე.წ. არჩევნები და ე.წ. რეფერენდუმი ჩატარდა. ეს თქვენ რას გეუბნებათ? ამით რაიმე იცვლება თუ არა?***

– იცვლება. ეგენი გეგმაზომიერად მიდიან რუსეთთან შეერთებისკენ. უნდათ ჩრდილო ოსეთთან გაერთიანდნენ და ერთიანად იყვნენ რუსეთთან.

***– ალანიის დარქმევაც ამ მიზანს ემსახურება?***

– რუსეთში „ორი ოსეთი“ ხომ არ შევიდოდა, ე.წ. სამხრეთ ოსეთი და ჩრდილო ოსეთი-ალანია. ეგენი, ალბათ, შეეცდებიან გაერთიანებას ჩრდილო ოსეთი-ალანიასთან, ერთი ალანიის შექმნასა და ერთად შესვლას რუსეთის შემადგენლობაში ბუნებითაც, ისტორიითაც და სამართლებრივადაც ცუდად ჟღერს „სამხრეთი“ და „ჩრდილოეთი“, მით უმეტეს, როკის გვირაბი რომ არის.

როკის გვირაბი რომ გაიხსნა, მაშინ საგზაო სამმართველოში ვმუშაობდი. საგზაო ნიშნებს რომ ვაკეთებდით, გვირაბის ჩრდილოეთ ნაწილიდან ზუსტად 170 მეტრში ნიშანი დამაყენებინეს, რომ აქედან რომ გადიოდა (ჩრდილოეთიდან) ქედს იქით 170 მეტრი ჩვენი იყო, ისევე, როგორც მამისონის უღელტეხილი ჩვენი იყო.

***– გვირაბის გაკეთებაზე თქვენ მუშაობდით?***

– გვირაბი გააკეთა გოცირიძემ. როდესაც გვირაბი გაკეთდა, შემდეგ ჩვენ გადმოგვეცა ექსპლუატაციაში 1981 წლიდან და ჩვენი სამმართველო უვლიდა.

***– კავკასიონის ქედი არ შეუშლის ხელს ე.წ. შეერთებას?***

– არა მგონია, რომ შეუშალოს.

***– გვირაბი რა დონეზეა გაკეთებული?***

– გვირაბი მაღალ დონეზე, კაპიტალურადაა გაკეთებული.

***– 2008 წლის ომის დროს არ იყო ამ გვირაბის აფეთქების მცდელობა?***

– აფეთქების მცდელობა არ იყო. სააკაშვილის დროს უნდოდათ, შესულიყვნენ და გვირაბი დაეკავებინათ, მაგრამ ჯავამდე ვერ მივიდნენ. მეორე ნაწილი მოდიოდა გორის მხრიდან და ვაისას ვერ გამოსცდნენ. ეს პუნქტები ისე ჰქონდათ გამაგრებული, რომ ვერ შემოვიდნენ.

***– ანუ ჯგუფი ვერ შეაგზავნეს?***

– 8-9 აგვისტოს უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო, ლიახვის ხეობაში არცერთი ჯარისკაცი აღარ იდგა.

***– ე.წ. არჩევნები არაერთხელ ჩაატარეს, იცვლებოდნენ ე.წ. ლიდერები, თიბილოვი, კოკოითი, ბიბილოვი...***

– პირველად ოსებს კულუმბეკოვი ჰყავდათ, ზვიადის დროს დაპატიმრებული რომ იყო, შევარდნაძემ გაუშვა. კულუმბეკოვის შემდეგ ჩიბიროვი იყო, შემდეგ კი – კოკოითი. ჩიბიროვის დროს ერგნეთის ბაზრობა რომ იყო, მოსახლეობა – ქართველები და ოსები (30 ათასი კაცი მაინც) 2005 წლამდე ერთმანეთთან ქორწილში მიდიმოდიოდნენ ცხინვალში, სხვაგან. თვითონ ოსები გამოდიოდნენ, გორსა და თბილისში რესტორნები სავსე იყო.

2004 წელს ერგნეთის ბაზრობის დაშლამ ძალიან ცუდი პროცესები გამოიწვია. მაისში აჭარის საკითხი რომ გადაწყდა, ოსები (იქ დაბადებული და გაზრდილი ვარ, ყველა ოსს ვიცნობ) უკვე ემზადებოდნენ, მოლაპარაკებით მოგვარდებოდა კონფლიქტი. ოღონდ ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიგვეცა, შერიგებაზე თანხმდებოდნენ. შეგუებულებიც იყვნენ – აჭარა დაიბრუნეს, ივანოვი ჩამოსული იყო, აბაშიძე წაიყვანა და ცხინვალიც დაბრუნდებაო. ერგნეთის ბაზრობის დაშლამ (2004 წელს კონფლიქტიც იყო და შეტაკებებიც) ძალიან ცუდი როლი ითამაშა.

***– ძალიან სამწუხაროა. 2004-2008 წლის შემდეგ რა პროცესებიც მიმდინარეობს, ცნობილია. მნიშვნელობა აქვს, თიბილოვი იქნება, ბიბილოვი თუ ვინმე სხვა?***

– არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ცხინვალში მეც რომ დამნიშნონ, ურუსეთოდ ნაბიჯს ვერ გადავდგამ. გვარებს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. რუსმა რომ თქვას, დღესვე დაიწყეთ ქართველებმა და ოსებმა მოლაპარაკებაო, დამთავრებული არ ექნება საუბარი ტელეფონზე, რომ ოსები ჩამოვლენ თბილისში მოსალაპარაკებლად.

***– როდესაც პუტინი აცხადებს, ქართველებო, მიდით, აფხაზებსა და ოსებს მოელაპარაკეთო, რეალური თანხმობა არ არის მოლაპარაკებაზე?***

– აფხაზებთან და ოსებთან რომ მოვილაპარაკოთ, რეალურად თანახმა არ არის რუსეთი. ცხინვალის ბიუჯეტს კრემლი აფინანსებს, მათი ჯარი დგას, ყველაფერი მათია. ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთს. რუსების ერთი სიტყვა და პრობლემა მაშინვე გადაწყდება, როგორც 1921 წელს გადაწყდა.

1918 წლის თებერვალში ოსებმა აქ რამდენიმე ქართული სოფელი გადაწვეს. ცნობილი გენერალი ვალიკო ჯუღელი შემოვიდა თავისი რაზმით და ახლომახლო სოფლებიდან ოსები როკის გვირაბს იქით გადაიყვანა. რევოლუციის შემდეგ, წითელი არმია რომ შემოვიდა, ჩავიდა ცხინვალში კომისარი, დაუძახა ოსებს და უთხრა, დაგაბრუნებთ, ოღონდ ქართველებს ხმა არ გასცეთო. იგივე უთხრა ქართველებს, ოსებს ხმა არ გასცეთო. ამის შემდეგ დაიწყო ისევ მეგობრობა, ერთმანეთში ქორწინება. ეს იყო რუსეთის გადაწყვეტილება. მაშინაც ერთ დღეში გადაწყდა კონფლიქტი და ქართველებმა და ოსებმა ერთად დაიწყეს ცხოვრება.

***– ფიქრობთ, რომ შეიძლება, ასეთი მომენტი კიდევ დადგეს?***

– რომ ვთქვა, არა-მეთქი, სწორი არ ვიქნები. რუსებმა სახლები დამიწვეს და ყველაფერი გამინადგურეს. ყველაზე მეტად დაზარალებული ადამიანი ვამბობ, რომ რუსს უნდა დაველაპარაკოთ. რუსის ერთი სიტყვა და მეორე დღეს იქ ვართ. თავდაპირველად სტატუსზე რომ ვილაპარაკოთ, ავტონომია იქნება, ფედერაცია თუ რა, არ იქნება დიდი შედეგის მომცემი. უნდა მოვილაპარაკოთ დევნილების დაბრუნებაზე, რომელსაც მოითხოვს გაერო, ეუთო თუ ევროსაბჭო.

***– ე.წ. რეფერენდუმში, რომელიც ეხებოდა სახელის გადარქმევას, 78%-მა მხარი დაუჭირა, ხოლო 20%-მა – არა.***

– მე მგონი, 100% დაუჭერდა მხარს. ალბათ, ასე აჩვენეს.

***– ყოველ შემთხვევაში, აჩვენეს თუ არა, ზუსტად არ ვიცით. ვხედავთ, რომ 20%-მა არ დაუჭირა მხარი სახელის გადარქმევას. ეს რა კატეგორიის ამომრჩეველია?***

– გეტყვით. ახლა მე ოსებთან ურთიერთობა მაქვს. ძველი მეგობრები გამოდიან. ძირითადად, მათ ერგნეთის ბაზრობის აღდგენა უნდათ. ამბობენ, ცხინვალში ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზე საკითხი რომ დავსვათ, 100 კაციდან 99 თანახმა იქნება, ოღონდ ეგ ბაზარი აღდგესო. ერთი ვილაც დაიწყებს ყვირილს, პატრიოტი რომ გამოჩნდეს, მაგრამ იმ ერთს ყველაზე ძალიან უნდა ბაზრობის აღდგენაო. გეუბნებით, ძალიან უნდათ, ბაზრობა აღდგეს, მისვლა-მოსვლა იყოს.

***– რა უშლის ხელს ერგნეთის ბაზრობის აღდგენას?***

– ისევ და ისევ რუსეთის ნება. ცხინვალის საკითხი ერთ საათშია გადასაწყვეტი.

***– ერგნეთში ბაზრობა რომ გავაკეთოთ, რუსები ხელს როგორ შეგვიშლიან?***

– ერგნეთში, აქეთ ბაზრობა რომ გავაკეთოთ, შეიძლება, მაგრამ, რუსმა თუ არ გამოუშვა ოსები, ბაზრობის გაკეთებას რა აზრი აქვს!

მე იმ ბაზრობის ერთ-ერთი მონწილე და დამფუძნებელი ვიყავი და ვიცი, რა არის ერგნეთში გაკეთებული ბაზრობა, ოსების ბუნებაც ვიცი, კარგი ურთიერთობა უცებ შეიძლება დაამყარონ. აქეთ ჩვენი პოსტი დგას. ჩვენი პოსტიდან 2 კილომეტრში მათი პოსტი დგას. ნეიტრალურ ზონაში უნდა გაკეთდეს ბაზრობა, სადაც რუსებმა უნდა გამოუშვან ოსები და ჩვენი პოსტიდან შეუშვან ქართველები, რომ ხილი, პროდუქტი შეიტანონ. ჩვენებიც უიარაღოდ უნდა შევიდნენ ამ ნეიტრალურ ზონაში და ისინიც უიარაღოდ უნდა შემოვიდნენ. უნდა შემოწმდეს ყველა შემსვლელი, რომ იარაღი არ შეიტანონ, მათ შორის, გამყიდველებიც.

2004 წელს მე ვეუბნებოდი, რომ რეალური გაგვეხადა გადასახადი. ამბობდნენ, კონტრაბანდააო. არავითარი კონტრაბანდა არ იყო. მაშინ ყველა ძალოვანს ედგა თავისი გამშვები პუნქტი, ერთი ტომარა ფქვილი რომ წამოეღო ბათუმიდან, ყველგან უნდა გადაეხადა, პოლიციისთვის, საბაჟოზე და, ფაქტობრივად, უფრო ძვირი უჯდებოდა. ყველა სტრუქტურას ფასი ჰქონდა დადებული, ყველა სტრუქტურა ფულს იღებდა. კარასინი-აბაშიძის ფორმატში თუ მოილაპარაკებენ რუსეთთან, რომ ერგნეთის ბაზრობა გაიხსნას, ჩვენები აქედან შეიტანენ განბაჟებულს. იქ რომ იყიდიან და გამოიტანენ, აქეთ განაბაჟებენ. ამას უნდა დრო, რომ შიშის ფაქტორი მოიხსნას. რამდენი რა შემოვა აქეთ და რამდენი გავა, ამის კონტროლზე ადვილი არაფერია.



***– აღდგომის დღესასწაულზე ხომ არ შეპარულხართ სასაფლაოზე?***

– ჩემი სოფელი სოფელ დიდსიდან 2 კილომეტრშია. ამ 2 კილომეტრში რუსები პატრულირებენ. ამიტომ გამორიცხულია იქ შესვლა, თანაც ყველაფერი გადამწვარია. ლიახვის ხეობაში ერთი სახლიც არ დგას, ყველაფერი გადასწორებულია. ქუჩებში ეკალ-ბარდია ამოსული.

***– საფლავები როგორ მდგომარეობაშია?***

– შარშანწინ იყვნენ ბიჭები შეპარული, დაათვალიერეს და აბსოლუტურად ყველაფერი ბალახს მიაქვს. მარმარილო და მესრები დაზიანებული არ არის.

***– ახალგორში რა მდგომარეობაა? იქ ქართველები ცხოვრობენ?***

– ახალგორში ქართველები ცხოვრობენ, მიდიან, მოდიან, ოღონდ, გარკვეულ დღეებში, როცა ცხინვალში რაღაც ღონისძიება აქვთ, გამშვები პუნქტი იკეტება.

# ბიბისი: „საქართველო ევროპულ კურსს არ შეცვლის“

**მონტენეგროს პარლამენტმა 28 აპრილს ქვეყნის ნატოში გაწევრიანების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა. ბიბისის რუსული სამსახურის პოლიტიკური მიმომხილველი მიხეილ სმოტრიაევი ესაუბრა ჰელსინკიში არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის პროგრამების დირექტორ არკადი მოშესს. საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ ამონარიდებს საუბრიდან:**



***– შეიცვლება თუ არა ძალთა ბალანსი ევროპაში?***

– მონტენეგროს ნატოში გაწევრიანება ევროპაში ძალთა ბალანსის ცვლილებას არ გამოიწვევს, რადგან ამ ქვეყნის მიღებას სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: მონტენეგროს არმია სულ ორიოდე ათას სამხედრო მოსამსახურეს ითვლის და ტექნიკაც უმნიშვნელო რაოდენობით აქვს.

სხვა საქმეა გაწევრიანების პოლიტიკური მნიშვნელობა: პოდგორიცის მიღება ნატოში ნიშნავს, რომ ალიანსი ფართოვდება, რაც რუსეთის გაღიზიანებას და ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. იბადება კითხვები ევროპულ უსაფრთხოების ირგვლივ თურქეთთან დაკავშირებითაც, ანკარისა და მოსკოვის ინტეგრირების ფონზე. ამ შემთხვევაში პრობლემა უფრო სერიოზული და ღრმაა, თუმცა, რუსეთ-თურქეთის ერთმანეთთან დაახლოების პროცესის მიუხედავად, ამ ორ ქვეყანას შორის, საბოლოო ჯამში, სამხედრო-პოლიტიკური კავშირი არ გაფორმდება.

***– ზოგიერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, მაგალითად, საქართველოს, ნატო დაჰპირდა, რომ თავის რიგებში მიიღებდა, მაგრამ ახლო პერსპექტივაში საქართველოს ალიანსში გაწევრიანება ეჭვებს იწვევს.***

– ვფიქრობ, ალიანსს არასდროს ჰქონია იმის რეალური, ბუნებრივი სურვილი, რომ საქართველოსა და უკრაინის მსგავსი ქვეყნები ნატოს წევრები გამხდარიყვნენ. კი, ბუქარესტის 2008 წლის სამიტის გადაწყვეტილებაში მათი მიღების საკითხი ჩაწერილია, მაგრამ ეს იყო ერთგვარი კომპრომისი, რომელიც იმ კონკრეტულ მომენტში სიტუაციიდან გამოსასვლელ ელეგანტურ დიპლომატიურ ნაბიჯად იქნა წარმოდგენილი. ალბათ, უფრო უკეთესი იქნებოდა შედარებით მტკიცე და მკაფიო პოზიციის გამოჩენა. ჩემი აზრით, დღეს პოსტსაბჭოთა სივრცეში ნატოს გაფართოების რეალური პერსპექტივა არ არსებობს, თუმცა მოსკოვი ამ ფაქტორით მაინც ისარგებლებს და საფრთხობელასავით გამოიყენებს.

***– როცა ნატო პოსტსაბჭოთა ქვეყნებს უარს ეუბნება ნატოში გაწევრიანებაზე პერსპექტივაშიც კი, ამით ალიანსი ამ ქვეყნებს მოსკოვის გავლენის ზონაში ხომ არ მიერეკება?***

– არა, ამაში ვერ დაგეთანხმებით. საქართველოს შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ, რომ ბოლო წლების მანძილზე ამ ქვეყანასთან მიზანმიმართულად მიმდინარეობს ეკონომიკური ურთიერთობების განმტკიცება, ასეთმა კურსმა უკვე გამოიღო გარკვეული შედეგები, თუმცა ეს არ ნიშნავს თბილისის ოფიციალური პოზიციის შეცვლას. თბილისს კვლავ სურს, რომ იყოს უსაფრთხოების დასავლური სისტემის მონაწილე. საქართველოში არ გამქრალა დასავლური გარანტიების მიღების სურვილი.




ამ შემთხვევაში ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მტკიცედ დასვამენ საკითხს მოსკოვი და ბრიუსელი დღის წესრიგში ნატოს გაფართოებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ დასავლეთი ამ საკითხის გატანას მაინცდამაინც არ მიაწვება, მოსკოვიც, ალბათ, სიფრთხილეს და ზომიერებას გამოიჩენს. თუმცა ამ ფონზე საქართველო თავის საგარეო პოლიტიკურ კურსს მაინც არ შეიცვლის, ყოველ შემთხვევაში, ახლო პერსპექტივაში მაინც. რაც შეეხება უკრაინას, სანამ მის აღმოსავლეთ ნაწილში კონფლიქტი მიმდინარეობს, ამ ქვეყნის ნატოში გაწევრიანებაზე ფიქრი თეორიულადაც კი ზედმეტია.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# „შორენა თეთრუაშვილთან ერთად, მეუფე იაკობისა და მამა დავით ჭინჭარაულის მკვლელობაც იგეგმებოდა“

შორენა მარსაგიშვილი

ამ კვირის დამლევს ციანიდის საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება. ბოლო დროის ყველაზე სკანდალურ საქმესთან დაკავშირებით, შესაძლოა, კიდევ ბევრი სკანდალური ინფორმაციის მომსწრენი გავხდეთ.

პროკურატურის მთავარმა მოწმე ირაკლი მამალაძემ არაერთხელ განაცხადა, რომ ჩანაწერების სრული გასაჯაროება საპატრიარქოს იმიჯს ზიანს მიაყენებს. ამ ჩანაწერებს პროკურატურა ბოლომდე, ალბათ, არ გაასაჯაროებს. საპატრიარქოს წარმომადგენლებს ეს ჩანაწერები სრულად აქვთ ნანახი და მოსმენილი.

საპატრიარქოს წარმომადგენლები ამ თემაზე საუბარს გაურბიან. კომენტარებს მხოლოდ იურისტი ედიშერ ქარჩავა აკეთებს. ის ფიქრობს, რომ, პატრიარქის მდივან-რეფერენტ შორენა თეთრუაშვილის გარდა, მინიმუმ 2 პიროვნების მოკვლა იგეგმებოდა.

ამის თქმის საფუძველს მას მხოლოდ პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადება არ აძლევს. 27 აპრილს პროკურატურამ გააკეთა განცხადება, სადაც წერია რომ მათ მიერ ამოღებული ციანიდი არა ერთი, არამედ რამდენიმე პიროვნების მოკვლისთვის იყო საკმარისი.

– უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა არ მინდა და ამიტომ არავის არ დავადებ ხელს. ვთქვათ იქს პიროვნებისთვის, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენას აპირებდა და მისთვის შორენა თეთრუაშვილი იყო დამაბრკოლებელი გარემოება და მისი განეიტრალება უნდოდა, ეს არ იყო საკმარისი მიზნის მისაღწევად. მასთან ერთად მინიმუმ 2 პიროვნება უნდა განეიტრალებულიყო, – განაცხადა გადაცემა რეაქციაში გამოსვლისას საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ.

მას ამასთან დაკავშირებით თავისი ვერსია აქვს.

– მეუფე იაკობი უნდა განეიტრალებულიყო. მისი მკვლელობაც უნდა მომხდარიყო და მამა დავით ჭინჭარაულისაც. ამას იმის გამო არ ვამბობ, რომ პროკურატურის დასკვნაში რაღაც წერია, მაგრამ, ვიმეორებ, მხოლოდ შორენას მკვლელობა არ იქნებოდა საკმარისი. მას ხომ ჰყავს გარემოცვა და არც ისეა საქმე, რომ ყველაფერი მარტო შორენა თეთრუაშვილია, ამიტომაც უნდა მომხდარიყო სხვა პიროვნებების განეიტრალებაც, – ამბობს ქარჩავა.

საპატრიარქოს იურისტი ამბობს, რომ მას პროკურატურის მიერ მოპოვებული ჩანაწერები არ უნახავს. სხვათა შორის, ეს ჩანაწერები მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ პირადად მიიტანა საპატრიარქოში.

აღსანიშნავია, რომ ამ ჩანაწერების ნახვის შემდეგ განაცხადეს საპატრიარქოს წარმომადგენლებმა უარი მამა გიორგი მამალაძის მონახულებაზე.

მთელი ამ სკანდალის განმავლობაში არაერთხელ გამოითქვა ვერსია, რომ მამა გიორგი მამალაძეს ჰყავდა თანამზრახველები. რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ განაცხადა, რომ სავარაუდო თანამზრახველების დადგენაზე მუშაობს.

თანამზრახველების არსებობაზე აქვს ეჭვი საპატრიარქოს იურისტსაც.

– მე ვერ დავარღვევ ვერავის უდანაშაულობის პრეზუმფციას. მამაო ჩვენთვის უცხო არ არის და ეს არის დიდი დარტყმა ეკლესიისთვის. მე შემიძლია, ცალსახად გითხრათ, რომ თუ ის ბრალდება, რომელიც არის მამაოს მიმართ, დადასტურდება, მე საფუძვლიანი ეჭვი მიჩნდება, რომ მასთან ერთად მინიმუმ ერთი ან ორი პიროვნება აუცილებლად იყო, – განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.


შორენა თეთრუაშვილი


მეუფე იაკობი


დავით ჭინჭარაული

მისი თქმით, ციანიდის ოპერაცია დაბალ დონეზე იყო დაგეგმილი და ამაში ეპისკოპოსების მონაწილეობის ნიშნები არ ჩანს, რადგან ეპისკოპოსებს საკმაო გავლენა აქვთ და მათ მამა გიორგის ჩარევა არ დასჭირდებოდათ.

– ეპისკოპოსი გერმანიაშიც შეძლებდა პირადი კავშირებით ვინმეს გამოძებნას, – აღნიშნა ქარჩავამ.


ედიშერ ქარჩავა

სავარაუდო თანამზრახველების ვერსია აბსურდულად მიაჩნიათ მამა გიორგის ადვოკატებს. ადვოკატი მიხეილ რამიშვილი ამბობს, რომ პროკურატურამ როგორც ციანიდის გამყიდველი ვერ იპოვა, ასევე ვერ იპოვის თანამზრახველებს.

– არც ციანიდის გამყიდველი და არც თანამზრახველები ბუნებაში არ არსებობენ, – ასეთია ადვოკატის პოზიცია.

მეუფე იაკობის შესაძლო მკვლელობაზე საუბარი ჯერ კიდევ ციანიდის სკანდალამდე რამდენიმე კვირით ადრე დაიწყო.

ანალიტიკოსმა არჩილ გამზარდიამ, რომლის ბავშვის ნათლიაც მეუფე იაკობია, გაავრცელა ინფორმაცია, რომ ქორეპისკოპოსის მკვლელობა იგეგმებოდა. მან კონკრეტული პირებიც დაასახელა. მისი თქმით, მეუფე გურამ შარაძესავით უნდა მოეკლათ.

გავრცელებული ინფორმაციით, ამ საქმით სამხედრო პოლიცია დაინტერესდა. მერე იყო ციანიდის სკანდალი და დღემდე უცნობია, რა ბედი ეწია ამ საქმეს.

სავარაუდოდ, ამ საკითხს ციანიდის საქმის განხილვისას დაუბრუნდებიან. საპატრიარქოს იურისტიც ამბობს, რომ, სავარაუდოდ, მეუფე იაკობი უნდა მოეკლათ.

ამ საქმის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე დღემდე ჯიუტად ამტკიცებს, რომ პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა.

სხვათა შორის, პატრიარქის მკვლელობა საპატრიარქოს იურისტმაც ახსენა. თუმცა იქვე განმარტა, რომ პროკურატურის მიერ მოპოვებული მასალებით ამის დამტკიცება შეუძლებელია.

◆ ◆ ◆

გასულ კვირას პროკურატურამ მამა გიორგი მამალაძეს ბრალიც დაუმძიმა. საგამოძიებო უწყების ცნობით, ის ანგარების მიზნით აპირებდა შორენა თეთრუაშვილის მკვლელობას.

ამავე უწყების განმარტებით, მამა გიორგი თეთრუაშვილს მიიჩნევდა თავისი კარიერული წინსვლის შემაფერხებლად.

პროკურატურის მთავარი მოწმე ირაკლი მამალაძე საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში ამბობს, რომ შორენას და მამაოს კარგი ურთიერთობა არ ჰქონდათ.

მისი თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძეს შორენა თეთრუაშვილთან ურთიერთობა მას შემდეგ დაეძაბა, რაც დეკანოზი თბილისში გადმოვიდა და ქონების მართვის სამსახური ჩააბარეს.

– დეკანოზი ამბობდა, რომ თეთრუაშვილი მას არ აძლევდა გარკვეული საკადრო გადაწყვეტილებების საშუალებას. მამა გიორგი მუდმივად აცხადებდა, რომ ის, სოსო ოხანაშვილი და მეუფე პეტრე თეთრუაშვილს პირად მტრად განიხილავდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მის წინააღმდეგ პროვოკაციები მოწყობილიყო, – განუცხადა მამალაძემ საზოგადოებრივს.

ჟურნალისტის თქმით, დეკანოზი გიორგი შორენა თეთრუაშვილზე გარკვეული მასალებისა და კომპრომატების გამოქვეყნებას ითხოვდა, თუმცა, როდესაც ირაკლი მამალაძემ მას მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები მოსთხოვა, დეკანოზს მსგავსი დოკუმენტები არ აღმოაჩნდა.

– ყოვლად შეუსაბამოდ მიმაჩნია ის გარემოებაც, რომ მამა გიორგის შორენა თეთრუაშვილმა სთხოვა ციანიდი და დეკანოზს არ ჰქონდა ამასთან დაკავშირებით ჩანაწერი ან მსგავსი რამ და არ მითხრა მე, რადგან ეს საკმარისი იქნებოდა შორენას გასანეიტრალებლად. შხამიანი ნივთიერების მოპოვება და თხოვნა-მოძიება უკვე სისხლის სამართლის დანაშაულია და ამით დასრულდებოდა შორენას კარიერაც საპატრიარქოში, – აღნიშნა ირაკლი მამალაძემ.

საზოგადოებრივთან საუბარში ირაკლი მამალაძემ თქვა, რომ არ იცის, ვისგან იყიდა დეკანოზმა ციანიდი და მან ალტერნატიული გზა აარჩია.

– მზად ვარ, დღესვე, თუ დეკანოზი სიმართლეს იტყვის, ბოლომდე გავუმყარო არგუმენტები ჯგუფთან დაკავშირებით, თუ ვინ იდგა მის უკან და ვისთან მიჰქონდა ციანიდი. ვისგან იყიდა ციანიდი, არ ვიცი. ის სამი დღე გაქრა ჩემგან და, შესაბამისად, ვვარაუდობ, რომ მან ალტერნატიული გზა მოძებნა ციანიდის შესაძენად. ამ საქმეს რაც შეეხება, მე ვრჩები ჩემს აზრზე, რომ შორენა თეთრუაშვილის კი არა, პატრიარქის მკვლელობა იგეგმებოდა, – ამბობს ირაკლი მამალაძემ.

მისი თქმით, დაკავებული დეკანოზის მდგომარეობა მისმა ადვოკატებმა კიდევ უფრო გაართულეს, რადგან ისინი არ ურჩევენ მამა გიორგის, დაასახელოს ის პირები, რომლებიც ამ საქმეში იყვნენ ჩართულები.

– მამა გიორგი რეალურად გამოძიებასთან არ თანამშრომლობს, ვხედავთ, რომ მისი ჩვენებები აცდენილია დროში, სივრცეში და სრულიად შეუსაბამოა. მამა გიორგის ადვოკატებმა ეს საქმე ჩააოხრეს და შეიყვანეს ჩიხში. იმ ვერსიებით, რომლებიც მათ შესთავაზეს გამოძიებას, პროკურატურას მისცეს სრული კარტბლანში, რომ ის დასკვნა დაედო, რომელიც დადეს. ზოგადად პროკურატურას ხელს არაფერი არ უშლის, რომ დააყენოს 16-20-წლიანი განაჩენი ამ საქმეზე, – განაცხადა ირაკლი მამალაძემ.

მთავარი მოწმის თქმით, მამა გიორგი მარტო დარჩა ამ საქმეში და აქტიურად აღარ ჩანან ის ადამიანები, რომლებიც თავდაპირველად დეკანოზის მხარდამჭერ განცხადებებს აკეთებდნენ.

პროკურატურასა და საპატრიარქოში ამ თემაზე ღიად არ საუბრობენ, მაგრამ, შესაძლოა, პასუხისგებაში მიეცეს პატრიარქის პირადი დაცვის ყოფილი უფროსი სოსო ოხანაშვილი, რომელიც მამა გიორგი მამალაძესთან მეგობრობდა. ის პროკურატურის ხელთ არსებულ ჩანაწერებშიც ფიგურირებს.

ციანიდის სკანდალის შემდეგ მან თანამდებობა დატოვა. პატრიარქის დაცვის სამსახური კი შსს-ს დაქვემდებარებიდან გამოვიდა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურს დაექვემდებარა.

ცოტა ხნის წინ პატრიარქის დაცვის სამსახურიდან კიდევ რამდენიმე პიროვნება გაათავისუფლეს. ყველა მათგანი ოხანაშვილის კადრად ითვლებოდა.

# კალაძე და ქუმსიშვილი პრემიერობისთვის იბრძვიან?

## ვინ აპირებს გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულების გასაჯაროებას



შორენა მარსაგიშვილი

ხელისუფლების კულუარებში გუნდში არსებულ მორიგ დაპირისპირებაზე ალაპარაკდნენ. გავრცელებული ინფორმაციით, ამჯერად ერთმანეთს 2 ვიცეპრემიერი, კახა კალაძე და დიმიტრი ქუმსიშვილი, დაუპირისპირდნენ.

როგორც „ახალ თაობას“ „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ განუცხადა, სახელმწიფო კანცელარიაში კალაძის შევიწროებაც კი დაიწყო. მისივე განმარტებით, ეს ბიძინა ივანიშვილის ნებართვის გარეშე არ მოხდებოდა.

სახელისუფლებო კულუარებში ამბობენ, რომ ქუმსიშვილი და კალაძე აქამდეც ვერ ეწყობოდნენ ერთმანეთს. სიტუაცია მას შემდეგ დაიძაბა, რაც ქუმსიშვილი პირველ ვიცეპრემიერად დაინიშნა. მანამდე ოფიციალურად ეს პოსტი არ არსებობდა და კალაძე პირველ-ვიცეპრემიერობდა.

ეს დაპირისპირება რამდენიმე თვის წინ ოდნავ შენელდა. მაშინ ითქვა, რომ ენერგეტიკის მინისტრი თბილისის მერის თანამდებობაზე დასახელდებოდა. კალაძე ხშირად დადიოდა საკრებულოში და დეპუტატებს ეცნობოდა. ის მომავალი საკრებულოს წევრების შერჩევაზეც კი იყო გადასული.

რამდენიმე კვირის წინ კი ცნობილი გახდა, რომ მას მერობის პოსტზე უარი ეთქვა. დავით ნარმანიამ საკრებულოში სტუმრობისას თავად განაცხადა, მე ვიქნები თბილისის მერობის კანდიდატიო.

სავარაუდოდ, ასეც იქნება. ბოლო 3 კვირის განმავლობაში ნარმანია იმდენს დარბის, მერის პოსტზე ყოფნისას ერთად რომ არ ურბენია.

რადგან კალაძეს მერობაზე უარი უთხრეს, მას, ბუნებრივია, პრემიერობის სურვილი გაუჩნდა. გიორგი კვირიკაშვილის წასვლას ხომ მთელი „ქართული ოცნება“ ელოდება.

მის გარდა, ეს პრეტენზია ბლუჯად წოდებულ ქუმსიშვილსაც გაუჩნდა, რომელსაც, როგორც ამბობენ, ამერიკიდანაც აქვს მხარდაჭერა. ის ახლახან იყო შეერთებულ შტატებში და სერიოზული შეხვედრები გამართა.

რამდენად უკავშირდება ამერიკული ვოიაჟი მის შესაძლო გაპრემიერებას, ეს ძნელი სათქმელია. „ოცნებაში“ კი ამბობენ, რომ მას და კალაძეს შორის სერიოზული დაპირისპირებაა.

„ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებულმა წყარომ „ახალ თაობას“ ისიც უთხრა, რომ კალაძის ჩასაძირად, შესაძლოა, გაზპრომთან გაფორმებული ხელშეკრულება გამოიყენონ.

ამ ხელშეკრულებას გრიფით საიდუმლო ადევს, მაგრამ ახლო მომავალში ის, შესაძლოა, რომელიმე მედიასაშუალებაში გამოქვეყნდეს.

როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ხელშეკრულება საქართველოსთვის ძალიან ცუდია და მას დიდი სკანდალი მოჰყვება. საეჭვოა, კალაძეს ასეთ დოკუმენტზე მხოლოდ თავისი ნებით მოეწერა ხელი. ის აუცილებლად იქნებოდა შეთანხმებული.

ჩვენი წყაროს ინფორმაციით, ირაკლი სესიაშვილსაც „ოცნების“ კულუარებიდან აუგორეს შვილთან დაკავშირებული სკანდალი, რომლითაც შემდეგ ნაციონალურმა მოძრაობამ მოაწყო პოლიტიკური წიოკი.

არ არის გამორიცხული, გაზპრომთან გაფორმებული შეთანხმება ნაციონალების ხელში აღმოჩნდეს. კალაძის უწყებაში დღემდე ბევრი ნაციონალია და მათ საკმაოდ მაღალი პოსტები უკავიათ.

# ვინ ვაჭრობს კონსტიტუციით




საქართველოში პრეზიდენტსა და მმართველ გუნდს შორის ღია დაპირისპირებაა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პრეზიდენტს ოპოზიციურ პარტიებთან ალიანსში ადანაშაულებენ. უთანხმოება, რომელიც ბიძინა ივანიშვილსა და გიორგი მარგველაშვილს შორის პრეზიდენტის სასახლის ათვისების გამო დაიწყო, ახლა უკვე სრულმასშტაბიან სიტყვიერ ომშია გადაზრდილი.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები პრეზიდენტის ყველა ნაბიჯში ხედავენ პრობლემას – იქნება ეს შეხვედრები რეგიონებში კონსტიტუციის განხილვის მიზნით თუ შეხვედრები პოლიტოლოგებთან პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. პარალელურად, „ქართული ოცნება“ ერთიანი ძალით იბრძვის პრეზიდენტის უფლებამოსილებების შეკვეცისთვის საკანონმდებლო დონეზე. პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის საკითხი კი დღემდე ჩვეულებრივი ვაჭრობის საგნად რჩება.

მმართველი გუნდის მესიჯების არსენალიდან ზოგჯერ ისმის, რომ არაპირდაპირი არჩევა 2023 წლისთვის გადადის, ზოგჯერ კი ეს თარიღი კვლავ 2018 წელია. „ქართულ ოცნებას“ ასევე აინტერესებს, აპირებს თუ არა პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას და ამ კითხვასაც ღიად სვამს.

მოსამართლეთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიწვეულმა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ 28 აპრილს განაცხადა, რომ პრეზიდენტი პარლამენტის წინააღმდეგ შეტევას ახორციელებს.

– ჩვენ კიდევ გვაქვს იმედი, რომ კომპრომისს აზრი არ დაეკარგება, თუმცა არის პროცესები, რაც საწინააღმდეგოზე მიუთითებს. სამწუხაროდ, პრეზიდენტმა დაიწყო მთელი კამპანია საკონსტიტუციო კომისიის წინააღმდეგ, რომელიც გაგრძელდა პარლამენტის წინააღმდეგ. ბოლოს შედგა შეხვედრა პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსს, პოლიტიკურ პარტიებსა და ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს შორის. ისინი შეთანხმდნენ იმაზე, თუ როგორ უნდა დაგეგმონ ერთობლივი კამპანია პარლამენტის წინააღმდეგ. არასწორი ნაბიჯები იდგმება ჩვენი ოპონენტების მხრიდან პრეზიდენტის თაოსნობით.



პრეზიდენტი, რომელიც უნდა იყოს ზეპარტიული ფიგურა, პარტიებთან თანხმდება თავისი ადმინისტრაციის მეშვეობით, რომლის სტატუსი საერთოდ გაუგებარია. ადმინისტრაციის უფროსი ხვდება პოლიტიკურ პარტიებს, ეგრეთ წოდებულ ექსპერტებს და მათთან თანხმდება იმაზე, თუ როგორ უნდა მიიტანონ შეტევა პარლამენტზე, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი 28 აპრილს ახალციხეში იმყოფებოდა, სტუდენტებს შეხვდა და კონსტიტუციის შესახებ ისაუბრა. შეკვეცილი უფლებამოსილებების პირობებში კი იგი ცდილობს, აქტიურობა არ შეამციროს.

რეგიონებს „კონსტიტუცია ყველასია“ კამპანიის ფარგლებში ის უკვე მეხუთედ სტუმრობს. მისი თქმით, კონსტიტუციის ცვლილებების პაკეტი იმდენად დაიწუნეს კომისიის წევრებმა, რომ მის საბოლოო მიღებას, „ქართული ოცნების“ გარდა, ხელი არავინ მოაწერა.

– ყველა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც შედიოდა კომისიაში, დატოვა კომისიის შემადგენლობა და მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალის მიერაა ხელმოწერილი ეს დოკუმენტი.

წესი, რომლის მიმართაც პოლიტიკურმა პარტიებმა გამოთქვეს სერიოზული შეშფოთება და წესი, რომელიც შინაარსობრივად არის აცდენილი სამართლიანი არჩევნების ფუნდამენტურ პრინციპებს – ეხება პრეზიდენტის არჩევნებს. გაუგებარი მიზეზით ამომრჩეველს ერთმევა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლება და მომავალი ვერსიით პრეზიდენტს აირჩევენ ეგრეთ წოდებული ხმოსნები.

ძალიან ნათლად მინდა გითხრათ, არასდროს, კონკრეტულად მე, არც არავის არ შევეკვრები და არაფრის დიდებით არ ვივაჭრებ კონსტიტუციით. არ ვივაჭრებ იმ ძირითადი დოკუმენტით, რომელიც მიმაჩნია, რომ უნდა იყოს ყველას გამაერთიანებელი და არა ცალკეული პოლიტიკოსების ამბიციების შემკრები, – განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

„ამერიკის ხმა“ საკონსტიტუციო კომისიის ერთ-ერთ წევრ მიხეილ ბენიძეს ესაუბრა, რომელიც სამართლიანი არჩევნების აღმასრულებელი დირექტორი გახლავთ.

მან გვითხრა, რომ კომისიის წევრი არასამთავრობო ორგანიზაციები ერთობლივ წერილზე მუშაობენ, რითაც ვენეციის კომისიას უნდა მიმართონ.

– ჭეშმარიტად პროპორციული განაწილების წესზე რომ გადავდიოდეთ, სადაც მანდატების განაწილება პრობლემა არ იქნება და პრინციპი „გამარჯვებულს რჩება ყველაფერი“ არ იქნება ჩადებული, მაშინ მე ცალსახად ვიტყოდი, რომ კონსტიტუციის ახალი რედაქცია სჯობს ძველს. მიუხედავად იმისა, რომ აქ მაინც რჩება საკითხები, რაც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია: მაგალითად ქორწინების საკითხი, რასაც საერთოდ არ მივიჩნევთ, რომ უნდა იყოს საკონსტიტუციო დისკუსიის ნაწილი.



საარჩევნო სისტემა რომ იცვლებოდეს ისე, როგორც ამას საზოგადოებრივი ორგანიზაციები და საზოგადოების დიდი ნაწილი მოითხოვს, ჩვენ გვექნებოდა პოზიტიური შეფასება. ამ შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო სისტემაში კვლავაც სერიოზული კითხვის ნიშნები რჩება, მე ვერ ვიტყვი, რომ ესაა გაუმჯობესებული კონსტიტუცია. თუმცა, რა თქმა უნდა, მასში არის გაუმჯობესებული ცვლილებებიც, მაგრამ ეს გაუმჯობესებები ვერ გადაწონის იმ პრობლემურ ასპექტებს კონსტიტუციის ახალ რედაქციაში, რაც ჯერ კიდევ რჩება, – აღნიშნა მიხეილ ბენიძემ.

კონსტიტუციის რეფორმირების საკითხს 28 აპრილს აშშ-ის ელჩი იან კელიც გამოეხმაურა.

მან თქვა, რომ ამ პროცესში კონსენსუსი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. კონსტიტუციის ახალი ვერსია ახლა უკვე სახალხო განხილვის ეტაპზე გადავიდა.

**ამერიკის ხმა**

# სოზარ სუბარი: „გაკეთდა არჩევანი, გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკა“



სოზარ სუბარმა საკონსტიტუციო ცვლილებების შესახებ კომენტარი გააკეთა.

– გაკეთდა არჩევანი, რომ გვაქვს საპარლამენტო რესპუბლიკა. საპარლამენტო რესპუბლიკა ნიშნავს ამ მოდელში სრულად ჩაჯდომას. ვინმეს რომ არ ეფიქრა, რომ ეს კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ არის მიმართული და თითქოს ვიღაცას ეშინია მარგველაშვილის, რომ არ ეთქვათ, რომ რადგან ჩვენ გავიმარჯვეთ ჩვენ ვნიშნავთ პრეზიდენტს, კი ბატონო, კონსტიტუციაში შეგვაქვს ცვლილება, მაგრამ შემდეგი არჩევნები ჩატარდება პირდაპირი წესით და თუ ვინმე გაიმარჯვებს 2020-ში, 2023 წელს იმ პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი.

მაგრამ ოპოზიცია ამბობს, რომ ისინი არ მიიღებენ ამაში მონაწილეობას, პრეზიდენტი ამბობს, რომ ამ პროცესს ემიჯნება. ჩვენ მივიღეთ ოპოზიციისა და ექსპერტების შემოთავაზება 300-კაციანი ხმოსანთა გუნდის შესახებ, რომელსაც თვითმმართველობები, ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობები და პარლამენტი ერთად ირჩევენ, მაგრამ ამაზეც არ მოდიან.

მაშინ ბარემ გავასწოროთ და გავაკეთოთ ისეთი მოდელი, როგორიც არის საპარლამენტო რესპუბლიკა, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

დევნილთა და განსახლების მინისტრი მაჟორიტარული სისტემის ცვლილების საკითხსაც გამოეხმაურა.

– მე ვუჭერ მხარს მაჟორიტარულ სისტემას და რის გამოც დათმობაზე მივდივართ, ეს არის ჩვენი გუნდის გარკვეული ნაწილის პოზიცია, ბევრი უჭერს ჩვენთან მხარს პროპორციულ არჩევნებს და პლუს ოპოზიციის მუდმივი მოთხოვნა. მე, როგორც ერთი-ერთი ისტორიული კუთხის შვილს, მიმაჩნია, რომ კარგი იქნება, ყველა კუთხესა და მათ შორის ჩემს სვანეთსაც ჰყავდეს თავისი წარმომადგენელი, თავისი ხმა პარლამენტში.

ამ მხრივ, ასევე არ მომწონს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელსაც ვეთანხმები იმ ნაწილში, რომ ხმებს დაახლოებით თანაბარი წონა უნდა ჰქონდეს, მაგრამ როცა ლაპარაკია ტრადიციულ კუთხეებზე და განსაკუთრებით მთის რეგიონებზე, სადაც ნაკლები მოსახლეობაა, იქ განსხვავებული წესი უნდა იყოს და ასეთ რაიონებს უნდა ჰყავდეთ თავისი მაჟორიტარები პარლამენტში.

თუმცა, მიუხედავად ამისა, მე ვეთანხმები იმ მოდელს, რომელზეც ახლა ჩვენ გადავდივართ, მაგრამ ეს იყო ოპოზიციის მოთხოვნა და ოპოზიცია აქაც ქმნის პრობლემას, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

**მედიანიუსი**

# პანკისის იმამი: „ქრისტიანული სალოცავის დანგრევა პროვოკაციაა“

პანკისის იმამი ბექხან ფარეულიძე იმ საპროტესტო აქციას გამოეხმაურა, რომელიც ახმეტაში ქრისტიანული სალოცავის დანგრევას ეხებოდა.

მან სალოცავის დანგრევა პროვოკაციად შეაფასა, რომელიც ემსახურება ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს შორის დაძაბულობის გაჩენას.

– ვფიქრობთ, ეს არის პროვოკაციული ქმედება და ამის მოთავეს ქვეყნისთვის არაფერი კარგი არ უნდა და ჩვენ შორის დაძაბულობის გაჩენა სურს, – დაწერა ფარეულიძემ პანკისის იმამის ფეისბუქგვერდზე.

ფარეულიძე მოუწოდებს აქციის მონაწილეებს, დაელოდონ გამოძიების შედეგებს, რომელიც დამნაშავეებს გამოავლენს.

– ახმეტაში გაიმართა აქცია, სადაც შეურაცხყოფას აყენებდნენ პანკისელებს. მოვითხოვ, ყველა პროვოკატორმა თავი დაანებოს მთელი ხალხისთვის შეურაცხყოფის მიყენებას. დაველოდოთ გამოძიებას. წინასწარ ნუ დაგვადანაშაულებენ იმაში, რასაც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენდით, – დაწერა პანკისის იმამმა.

მან ადგილობრივი მედიასაშუალებები არასწორი ინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. ფარეულიძე მიმართავს მედიას, ქრისტიანებსა და მუსლიმებს შორის სიტუაცია არ გაამწვავოს.

– ზოგიერთმა პანკისში მომუშავე მედიასაშუალებამ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებით ხალხი შეცდომაში შეიყვანა, თითქოს პანკისის ხეობაში ეკლესია დაანგრიეს, ამან კი თავისი შედეგი გამოიღო და მორწმუნე ქრისტიანების უფრო მეტი აღელვება გამოიწვია.

მინდა ვთხოვო ყველა მედიასაშუალებას, ობიექტური და დაზუსტებული ინფორმაცია მიაწოდოთ ხალხს, რომ არ მოხდეს ხალხთა შორის ურთიერთობების გამწვავება, ეს მხოლოდ ამ პროვოკაციის მომწყობებს აწყობთ, – დაწერა ფარეულიძემ.

პანკისის სათემო რადიო „ვეის“ ინფორმაციით, აქციაში 500-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა.

შეკრებილებმა განაცხადეს, რომ სოფელ ჯოყოლოში ქრისტიანული სალოცავი განზრახ დაანგრიეს და ეს ქრისტიანული სიმბოლოების შეურაცხყოფის პირველი ფაქტი არაა.

აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებისგან დამნაშავეების დასჯა მოითხოვეს.

**მედიანიუსი**



**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ხურჩაში რუსებმა საოკუპაციო საზღვარი გადმოსწიეს

ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში რუსმა სამხედროებმა საოკუპაციო საზღვარი გადმოსწიეს.

რუსმა სამხედროებმა სიმინდის ყანებს ხის ბოძები უკვე შემოავლეს, რის შედეგადაც დამატებით 2 ჰექტრამდე მიწის ნაკვეთი საოკუპაციო რეჟიმის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მოექცა.

ადგილობრივი მცხოვრებლები ოთარ ნაჭყებია და ომარ მიქაუტაძე ამბობენ, რომ წლების განმავლობაში ამუშავებდნენ ამ ნაკვეთებს. ნაჭყებიას თქმით, 1978 წლიდან ფლობდა აღნიშნულ მიწას და იცოდა, რომ ეს იყო არა ნაბაკევის, არამედ ხურჩის ტერიტორიაზე არსებული მიწა.



– რუსებმა შემოღობეს ეს ტერიტორია, სადაც ბოძები ჩანს. ეს იყო ჩვენი კუთვნილი მიწები. 40-50 წელია, რაც ვსარგებლობთ ამ მიწის ნაკვეთით და თითქმის წართმეულია ეს მიწები. ჯერჯერობით ამას რეაგირება არ მოჰყოლია. ვერ ვსარგებლობთ ჯერჯერობით ამ მიწით. არ შეგვიძლია არც ხვნა და არც თესვა, – აცხადებს ოთარ ნაჭყებია.

**მედიანიუსი**

# სკოლებში ჩიფსების, ქელებონებისა და გაზიანი სასმელების გაყიდვა იკრძალება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი კვების პრინციპების გატარებას ითვალისწინებს.



აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, სკოლებში იკრძალება წასახემსებლების (ჩიფსები, ე.წ. სუხარიკები, ჟელებონები), კანფეტების, შოკოლადების, გაზიანი სასმელების (გარდა გაზიანი მინერალური წყლისა) გაყიდვა.

განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამინისტრო სასკოლო ბუფეტებში არსებული მდგომარეობის გამოსწორებას და ამ სფეროს რეგულირებას იწყებს.

– პრობლემა ამ კუთხით წლების განმავლობაში მოუგვარებელია, სკოლის ბუფეტებში მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია არაჯანსაღი საკვები პროდუქტები, რაც სპეციალისტების თქმით, მოზარდების ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, სკოლებში ჯანსაღი კვების დანერგვის მიზნით, მეთოდური რეკომენდაცია შეიმუშავა, რაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჯანსაღი კვების პრინციპების გატარებას ითვალისწინებს.

აღნიშნული რეკომენდაციის თანახმად, სკოლებში იკრძალება წასახემსებლების (ჩიფსები, ე.წ. სუხარიკები, ჟელებონები), კანფეტების, შოკოლადების, გაზიანი სასმელების (გარდა გაზიანი მინერალური წყლისა) გაყიდვა.

ჯანსაღი საკვები ყოველდღიურ რეჟიმში დაეხმარება მოსწავლეებს, კონცენტრირება მოახდინონ საგაკვეთილო პროცესზე, რაც ხელს შეუწყობს მათ, მარტივად აითვისონ სასკოლო მასალა. რეკომენდაცია შეთანხმებულია ჯანდაცვის სამინისტროსთან.

ახალი ინიციატივის ფარგლებში, სამინისტრო, სტუდენტების ჩართულობით, აქტიურ საკომუნიკაციო კამპანიასაც იწყებს – სტუდენტები დაწერენ საკომუნიკაციო სტრატეგიას ჯანსაღი კვებისთვის. სამინისტროს ჟიური შეაფასებს და მოწონებულ გუნდთან ერთად გაატარებს აქტივობებს. ამ აქტივობებში სტუდენტები მიიღებენ დამატებით კრედიტებს ან ჩაეთვლებათ პრაქტიკულ გამოცდილებაში, – ნათქვამია განათლების სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# ბაზარზე შეფუთული მზა ქართული კერძები გამოჩნდა

კომპანია „ნაციონალური დელიკატესი ნდ“ გასული წლის ბოლოს შეიქმნა, შეფუთული ქართული კერძების წარმოება კი 2017 წლის იანვრიდან დაიწყო.



სხვადასხვა სავაჭრო ქსელში ამ ეტაპზე 7 დასახელების პროდუქტი იყიდება: ლობიო ლორით, ბორში ძროხის ხორცით, სუპ ხარჩო, ქათმის ჩახოხბილი, ქართული ფლავი (შილა ფლავი), ფლავი ძროხის ხორცით (იგივე უზბეკური ფლავი) და ბრინჯი ბოსტნეულით.

– შეფუთული მზა საკვების წარმოების იდეა გაჩნდა თანამედროვე ცხოვრების რიტმიდან გამომდინარე და დროის დაზოგვის მიზნით. ჩვენი პროდუქტი გათვლილია იმ ადამიანებზე, ვისთვისაც მნიშვნელოვანია დროის ფაქტორი და ჯანსაღი კვება. დროის მინიმალური დანახარჯით ადამიანს შეუძლია მიირთვას 100%-ით ნატურალური ქართული კერძები, – აცხადებს კომპანიის მარკეტინგის მენეჯერი ქეთი ქელეხსაშვილი.

კომპანია აწარმოებს როგორც ქართულ ნაციონალურ კერძებს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა სამზარეულოებიდან ტრადიციულ კერძებს.

„ნაციონალური დელიკატესი“ ასორტიმენტის გაზრდაზე მუშაობს და უახლოეს მომავალში სამარხვო პროდუქციის გამოშვებასაც აპირებს.

დღესდღეობით პროდუქციის რეალიზაცია ხდება როგორც ქსელურ მარკეტებში, ასევე უბნის მარკეტებში.

საწარმო, სადაც პროდუქცია მზადდება, დედოფლისწყაროში მდებარეობს და 30 ადგილობრივს ასაქმებს.

– ქართულ ბაზარზე ჩვენნაირი პროდუქტი არ არის. ბაზარზე არის მზა კერძები, რომლებიც მალფუჭებადია და მეორე-მესამე დღეს გამოუსადეგარია, ან პროდუქტები, რომლებსაც სჭირდება წყლის დასხმა ან სანელებლები.

ჩვენი პროდუქცია არის მზა, 100% ით ნატურალური, არ შეიცავს დანამატებსა და კონსერვანტებს და საჭიროებს მხოლოდ 2-3 წუთით მიკროტალღურ ღუმელში გაცხელებას. ჩვენი პროდუქტი განსაკუთრებით მოსახერხებელი და კომფორტულია ტურისტებისთვის, მოლაშქრეებისთვის, ბანაკებისა და მსგავსი აქტივობებისთვის, – აცხადებენ კომპანიაში.

**ბიზნესკონტრაქტი, სალომე მეცხვარიშვილი**

# ახალაშენებული ბინების საშუალო ფასი 7%-ით შემცირდა

2017 წელი, უძრავ ბაზარზე განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით, პოზიტიურად დაიწყო.



კოლიერს ინტერნეიშენალ ჯორჯიას შეფასებისა და კვლევის განყოფილების ხელმძღვანელ ნიკოლოზ ქევხიშვილის თქმით, ახალაშენებულ ბინებზე მოთხოვნა გაზრდილია, რასაც განხორციელებული ტრანზაქციები ადასტურებს.

ქევხიშვილი განმარტავს, რომ I კვარტალში დაახლოებით 200 მილიონი აშშ დოლარის საცხოვრებელი უძრავი ქონების ტრანზაქცია განხორციელდა.

– 2017 წლის I კვარტალში ახალაშენებული ბინების ტრანზაქციებმა ძველაშენებული ბინების ტრანზაქციებს გადაასწრო, როგორც რაოდენობრივად, ასევე თანხობრივად. ახალაშენებული ბინების დაახლოებით 120 მილიონის ტრანზაქციაა დაფიქსირებული.

ფასებს რაც შეეხება, ამ მხრივ კლება გვაქვს. ყველაზე დიდი ტრანზაქციების რაოდენობა და მოცულობა საბურთალოზე მოდის, რასაც ბაზრის დაახლოებით 22% უჭირავს. მას სამგორი, გლდანი და დიდი დიღომი მოყვება. ვაკე და მთაწმინდა რაოდენობრივად მცირე სეგმენტია და ფასებიც ამ უბნებში შედარებით მაღალია. დეველოპერული პროექტები, რომლებიც თბილისში ხორციელდება ძირითადად საბურთალოზეა სეგმენტირებული, – აღნიშნა ქევხიშვილმა.

ის ამბობს, რომ მათ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, ფასები ახალაშენებულ ბინებზე უფრო შემცირებულია, ვიდრე ძველ ბინებზე.

– ახალაშენებულ ბინების საშუალო ფასებზე გასულ წელთან შედარებით დაახლოებით 7%-იანი კლებაა, ხოლო 2015 წელთან შედარებით – დაახლოებით 6%-იანი კლება. ჩვენი ანალიზის მიხედვით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ფასების კლების მიზეზი ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი ფონი იყო. ასევე გავლენა ვალუტის კურსმაც იქონია.

მნიშვნელოვანია უცხოეთიდან ფულადი გზავნილებიც. მიუხედავად იმისა, რომ 2015 წელთან შედარებით ფულადი გზავნილების მცირედი ზრდა გვქონდა, წინა წლებთან შედარებით ეს მნიშვნელოვნად შემცირებულია. ზოგადად ახალაშენებულ ბინებზე უფრო მეტად შემცირდა ფასები, ვიდრე ძველაშენებულ ბინებზე და ვფიქრობთ, რომ ეს ბუნებრივიც არის, რადგან დეველოპერები ბაზრის სუსტ სტიმულებზე უფრო სწრაფად ახდენენ რეაგირებას.

მათ ფასების შემცირებით დააკომპენსირეს ის, რომ ტრანზაქციების რაოდენობა გაზარდეს. რაოდენობრივად და თანხობრივად ჯამური მოცულობით ზრდა იყო გასულ წელსაც და მიმდინარე წლის დასაწყისშიც, – აღნიშნა ნიკოლოზ ქევხიშვილმა.

**ბიზნესკონტრაქტი**

# მსოფლიო ბანკმა საქართველოსთვის 47.2 მლნ ევროს სესხი დაამტკიცა

მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ საქართველოს მთავრობის ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მხარდასაჭერად 47.2 მლნ ევროს ოდენობის სესხი დაამტკიცა.

როგორც მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, ეს საქართველოსთვის გათვალისწინებული ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის მეორე ღონისძიებაა.

განვითარების პოლიტიკის ღონისძიება მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკური რეფორმების პროგრამას. აღნიშნული პროგრამა ძირითადად მიმართულია სახელმწიფო ორგანიზაციების ფისკალური ზედამხედველობის გაძლიერებასა და საჯარო სამსახურის ბიუჯეტირების გაუმჯობესებაზე, ისევე, როგორც სოციალური მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

მსოფლიო ბანკის ინფორმაციით, დაფინანსება განხორციელდება რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის მოქნილი სესხით, რომლის მოცულობა 47.2 მლნ ევროს შეადგენს.

# პირველად არხოტის სოფლებში სამანქანე გზით ივლისში მივალთ

კავკასიონს გადაღმა, პირიქითა ხევსურეთის არხოტის სამ სოფელს – ამღას, ახიელსა და ჭიმღას სოფლის სტატუსს 6 ადამიანი უნარჩუნებს. ჭიმღაში მუდმივად ერთადერთი კაცი, გიგლა ოჩიაური ცხოვრობს, ახიელში კობა ცისკარაული და შიო ოჩიაური. არხოტში ყველაზე მრავალრიცხოვანი სოფელი ამღაა სამი ადამიანით – დავით, თამარ და გიგი წიკლაურები. არხოტამდე პირაქეთა ხევსურეთიდან სამანქანე გზა არასდროს ყოფილა და გადაადგილება მხოლოდ ფეხით, ცხენითა და მესაზღვრეების ვერტმფრენით იყო შესაძლებელი. არხოტში სამანქანე გზა მხოლოდ ინგუშეთიდან შემოდიოდა.

უგზოობის გამო არხოტი ნელ-ნელა დაიცალა. უკანასკნელმა სამბავშვიანმა ოჯახმა ახიელი 2013 წელს დატოვა.

– ამ გზის მნიშვნელობა ძალიან დიდია როგორც სტრატეგიული დანიშნულებით, ასევე ამ მხარის ეკონომიკური განვითარების კუთხით. სტრატეგიული დანიშნულებით იმ მხრივ, რომ ამღას, პირიქითა ხევსურეთს ჩრდილოეთით ინგუშეთი ესაზღვრება. ჩვენი ინფორმაციით, სურვილი აქვთ ინგუშეთიდან აქეთ გადმოიწიონ. როგორც კი ინგუშეთიდან ამ ხალხის აქეთ გადმოწევა მოხდება, ავტომატურად შეიძლება მოხდეს საზღვრის გადმოწევა, – განუცხადა მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორმა ელგუჯა ხოკრიშვილმა 2013 წლის დეკემბერში მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

2014 წლის 2 იანვარს არხოტში 26 წლის ერეკლე ჭინჭარაული დაიღუპა. მას ყინულზე ფეხი მოუცურდა, მდინარეში ჩავარდა, დასველდა, სიარულის გაგრძელება ვეღარ შეძლო და გაიყინა. ვიდრე მესაზღვრეებს ხმა მიაწვდინეს, რომ სასწრაფო სამედიცინო დახმარება სჭირდებოდათ, სანამ თბილისში ვერტმფრენი იშოვეს და ექიმები არხოტში ჩაფრინდნენ, ერეკლე გარდაიცვალა.



როშკა-არხოტის დამაკავშირებელი 28.5-კილომეტრიანი გზის მშენებლობა მუნიციპალური განვითარების ფონდმა 2015 წლის სექტემბერში დაიწყო. პროექტის მიხედვით, გზა სოფელ როშკადან იწყება, გადადის არხოტის უღელტეხილზე – ზღვის დონიდან 2960 მეტრზე და მთავრდება მდინარე ასას ხეობის გავლით სოფელ ჭიმღაში. სამუშაოებს შპს FIN-ESTATE ასრულებს. გზის მშენებლობისთვის 10.900.000 ლარია გამოყოფილი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის პროექტების ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ლევან სუხიტაშვილის განცხადებით, პროექტის ფარგლებში გაიჭრება 6 მეტრი სიგანის საავტომობილო გზა. გზაზე ასევე დაგეგმილია ხელოვნური ნაგებობების მოწყობა. მათ შორის, გაკეთდება 7 ხიდი და მოეწყობა ნაპირდამცავი ნაგებობები.

„ძირითადად რთული რელიეფური სიტუაცია სადაც გვქონდა, ვგულისხმობ არხოტის უღელტეხილს, გავცდით და ახლა შეჩერებული ვართ მე-18 კილომეტრზე, სადაც რელიეფი სწორდება. საბოლოო ფორმირება გზას არა აქვს, თუმცა სამუშაოების 75-80% შესრულებულია. უკვე გაჭრილ გზაზე დარჩენილია ფერდობების დამუშავება, მიწის სხვა სამუშაოების ჩატარება და ა.შ.

***– რა ფორმითაც გზა უკვე არსებობს, თოვლის დნობის შემდეგ არხოტის უღელტეხილის გავლა შესაძლებელია მაღალი გამავლობის მანქანებით?***

– ნებისმიერი გამავლობის მანქანა შეძლებს უკვე არსებულ გზაზე მოძრაობას.

***– პირველ სოფლამდე რამდენი კილომეტრია დარჩენილი?***

– 6 კილომეტრი გვაქვს დარჩენილი სოფელ ამღამდე.

***– როდის აპირებთ სამუშაოების განახლებას და რა დრო დასჭირდება ამღამდე გზის გაჭრას?***

– სამუშაოების განახლებას 15-20 მაისიდან ვგეგმავთ თუ რამემ ხელი არ შეგვიშალა. რაც შეეხება ამღამდე დარჩენილი მონაკვეთის გაჭრას, ვვარაუდობთ, რომ ივლისის ბოლოს ამღაში მანქანით ასვლა შესაძლებელი იქნება. ამღამდეა მთავარი, თორემ ახიელსა და ჭიმღაში გადასვლა პრობლემა აღარ არის, მცირე სამუშაოებია ჩასატარებელი. კონტრაქტორი ვალდებულია, რომ გზის მშენებლობა ჭიმღას ჩათვლით წელს, ოქტომბრის ჩათვლით დაასრულოს. იქნება ხრეშოვანი საფარის გზა. გზის საფარში გათვალისწინებულია არსებული გრუნტის, კლდოვანი მასალის, თიხა-ქვის გაფხვიერება, რომ ტახალი არ იყოს და ზედაპირი გამაგრდეს.

***– რა დრო დასჭირდება როშკადან ამღამდე ავტომობილით ასვლას?***

– როშკადან ამღამდე დაახლოებით 30-40 წუთის სავალი იქნება.

***– ზამთარში თუ გაიწმინდება ეს გზა, ვინ უპატრონებს მას?***

– დასრულებულ სამუშაოებს გადავცემთ საავტომობილო გზების დეპარტამენტს და ის იღებს ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად გზა იყოს მუდმივად გავლადი. ეს საკმაოდ რთული იქნება ზამთარში, დიდთოვლობის გამო, რადგან არხოტის უღელტეხილი ზღვის დონიდან 2960 მეტრზეა (ინფორმაციისთვის: დათვიჯვრის უღელტეხილი, რომელიც პირიქითა ხევსურეთის შატილის მხარესთან გვაკავშირებს ზღვის დონიდან 2676 მეტრზეა. აბანოს უღელტეხილი კი, რომელზეც თუშეთთან დამაკავშირებელი ერთადერთი საავტომობილო გზა გადის, ზღვის დონიდან 2950 მეტრზეა. ორივე უღელტეხილი დიდთოვლობის გამო ნოემბრიდან აპრილის ჩათვლით ან მაისის ბოლომდე ჩაკეტილია. ავტ).

***– ბატონო ლევან, რაც შეეხება ბარისახო-როშკას არსებულ გზას, ხომ არ გეგმავთ მის რეაბილიტაციასაც?***

– ბარისახო-როშკას 7-კილომეტრიანი გზა საჭიროებს გარკვეულ სამუშაოებს, ძირითადად გაფართოებას. საკმაოდ ვიწრო გზაა, დაახლოებით 3-დან 5 მეტრამდე მერყეობს სიგანე. ზოგიერთ ადგილზე ჯიბეებია გაკეთებული, შემხვედრმა ავტომობილმა გვერდის აქცევა რომ მოახერხოს. ამ ეტაპზე, გზის ამ მონაკვეთზე, როშკა-არხოტის გზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია დაგეგმილი არ არის. ბარისახოდან როშკამდე იმ 7-კილომეტრიანი მონაკვეთის გავლასაც იგივე დრო დასჭირდება, 30-40 წუთი, რაც როშკადან ამღამდე 28 კილომეტრის გავლას. საერთო ჯამში ბარისახოდან ამღაში ავტომობილით ასვლას დაახლოებით 60-70 წუთი დასჭირდება.

◆ ◆ ◆

როშკა-არხოტის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის დასრულების შემდეგ სოფელში დაბრუნებას რამდენიმე ოჯახი აპირებს. ამ გზის მშენებლობას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა საუკუნის პროექტი უწოდა.

ახალმა გზამ 5 კილომეტრით უკვე შეამცირა საფეხმავლო მანძილი ისეთ პოპულარულ მარშრუტებამდე, როგორიც არის აბუდელაურის ფერადი ტბები და ჭაუხები.

**მთის ამბები**

# ფერმის მეპატრონე არასრულწლოვანს ცხენების ქურდობასა და ფულის მოპარვას აბრალებს



რამდენიმე დღის წინ გაუჩინარდა 15 წლის მოზარდი, სოფელ წყაროსთავის მცხოვრებ იოსებ გიგაური, რომელიც მეზობელ სოფელ უდაბნოში ერთ-ერთ ფერმაში მუშაობდა.

მოზარდის ოჯახის წევრები აცხადებდნენ, რომ ბიჭის გაუჩინარების შესახებ 2 დღის წინ შეიტყვეს.

30 აპრილს საგარეჯოში დაკარგული 15 წლის ბიჭი პოლიციამ ცხენების ქურდობის ბრალდებით დააკავა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, პოლიციამ დაკარგული ბიჭი ღამით მისი მამის სახლში, სოფელ ზემო ქედში იპოვა.

მისი ოჯახი ქურდობის ფაქტს გამორიცხავს. არასრულწლოვნის დის, ლია გიგაურის, თქმით, მის ძმას ფერმაში ხელფასი არ გადაუხადეს და ტრანსპორტის არქონის გამო ფერმა ცხენით დატოვა.

– ის დაკავებულია ქურდობის ბრალდებით სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით (ქურდობა). პოლიციამ ფერმიდან მოპარული 2 ცხენი ნივთმტკიცებად ამოიღო. გამოძიება ფერმის მეპატრონის განცხადების საფუძველზე დაიწყო, – აცხადებენ შსს-ში.

ფერმის მეპატრონე არასრულწლოვან ბიჭს, ცხენების ქურდობასთან ერთად, ფულის მოპარვაშიც ადანაშაულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გიორგი ზალიაშვილმა განუცხადა, არასრულწლოვანმა მისი ფერმიდან ცხენსა და კვიცთან ერთად 150 ლარიც მოიპარა.

რაც შეეხება ოჯახის ბრალდებებს, რომ ფერმის ხელმძღვანელებმა ხელფასი არ გადაუხადეს, ზალიაშვილის თქმით, ოჯახმა თვითონ სთხოვა, რომ რამდენიმე თვის ხელფასი ერთიანად მიეცა ხოლმე, რათა ყოველთვიურად არ დახარჯვოდა.

– არანაირი ზეწოლა და დაპირისპირება მასთან არ ყოფილა. ცხელსა და ცივს არ ვაკლებდით, 200 ლარი ჰქონდა ხელფასი. თვითონვე გვთხოვეს, რომ ყოველთვიურად არ მიგვეცა ფული, რომ არ დახარჯვოდა. დაინახეს, როცა ცხენი და კვიცი მიჰყავდა. პურის საყიდლად მივდივარო, თქვა. თვითონვე აღიარა დანაშაული, ჩვენება წუხელისვე მისცა, – განაცხადა ზალიაშვილმა.

მისივე თქმით, ცხენი არასრულწლოვნის მამასთან არის, კვიცისა და ფულის ადგილსამყოფელი კი უცნობია.

# საქორწინო ესკორტის მანქანა ავარიაში მოყვა



მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა. საქორწინო ესკორტის მანქანა დაზიანდა. ფაქტის შესახებ „პირველის“ ჟურნალისტი შემთხვევის ადგილიდან იუწყება.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

# თამარ მეფის ხიდიდან მტკვარში ახალგაზრდა ქალი გადახტა



თბილისში თამარ მეფის ხიდიდან მტკვარში ახალგაზრდა ქალი გადახტა.

როგორც საზოგადოებრივს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მაშველებმა, რომლებიც მტკვრის ტერიტორიას მუდმივი რეჟიმით აკონტროლებენ, ახალგაზრდა ქალის გადარჩენა შეძლეს.

შსს-ს ინფორმაციით, ახალგაზრდა ქალი საავადმყოფოში გადაიყვანეს. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია და სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# ვანში 14 წლის გოგონას ცხედარი იპოვეს




ვანში საკუთარ საცხოვრებელში 14 წლის გოგონა გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

# რუსთავში ავტომობილში გაზის ბალონი აფეთქდა



ქალაქ რუსთავში მსუბუქ ავტომობილში ჩამონტაჟებული გაზის ბალონი აფეთქდა. ამის შესახებ ინფორმაციას „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ავრცელებს.

ინციდენტის დროს ავტომობილში მძღოლი იმყოფებოდა, რომელმაც სახის არეში მეორე ხარისხის დამწვრობა მიიღო.

დაშავებული მამაკაცი სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ ჯერ კლინიკაში, შემდეგ კი დამწვრობის ცენტრში გადაიყვანა.

ამ დროისათვის მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

# რუსთავში 21 წლის ახალგაზრდას ეძებენ

რუსთავში 21 წლის ახალგაზრდას ეძებენ. ოჯახის ინფორმაციით, გიორგი ალიევი 20 მარტს მეზობელ ფერმაში სამუშაოდ წავიდა და მას შემდეგ არ გამოჩენილა.

დაკარგულის ნათესავების განცხადებით, ახალგაზრდის გაუჩინარების შესახებ ინფორმაცია პოლიციას 24 საათის შემდეგ ეცნობა, თუმცა ამ დრომდე არავითარი შედეგი არ არის და არც მეზობლები და ახლობლები გამოუკითხავთ.

# საბჭოს მოედანზე ფეხით მოსიარულე ქალს მანქანა დაეჯახა



ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა გუშინ თბილისში, საბჭოს მოედანზე. ავტომანქანა ქვეითად მოსიარულე 50 წლის ქალს დაეჯახა.

ქალი კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც თვითმხილველები აცხადებენ, მოქალაქე ქუჩაზე მაშინ გადადიოდა, როდესაც შუქნიშანზე წითელი შუქი ენთო და მძღოლს მოძრაობის წესები არ დაურღვევია.

პოლიციის განცხადებით, საქმე აღძრულია სისხლის სამართლის კოდექსის 276 მუხლის 1 ნაწილით, რომელიც მსუბუქ შეჯახებას გულისხმობს.

# თბილისში კაფე „ანტრე“ დააყაჩაღეს




ყაჩაღობა მოხდა 28 აპრილს თბილისში.

ვაკეში, კუს ტბის ასახვევთან მდებარე კაფე „ანტრე“ დააყაჩაღეს. არსებული ინფორმაციით, კაფეში ერთი შეიარაღებული პირი შეიჭრა.

მომხდარის სხვა დეტალები უცნობია. წაღებულია გარკვეული რაოდენობის თანხა.

შემთხვევის დროს „ანტრეში“ ერთი თანამშრომელი იმყოფებოდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება 179-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. ამ ეტაპზე დამნაშავეების დასაკავებლად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს.

# „კპ.რუ“(რუსეთი): „რკინის ალიკა“ ანუ ალექსანდრე ანქვაბის ნამდვილი სახე

რუსული გამოცემა „Комсомольская правда“ ე.წ. აფხაზეთის ყოფილი „პრეზიდენტის“ ალექსანდრე ანქვაბის შესახებ სტატიას აქვეყნებს და მას რუსული კაპიტალის დამუხრუჭებასა და ბიზნესრეკეტს სდებს ბრალად.

საინფორმაციო სააგენტო ნიუსპრესი გთავაზობთ სტატიის ქართულენოვან ვერსიას მცირეოდენი შემოკლებით:

ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთის პარლამენტის წევრი კი გახდა, მაგრამ მას არანაირი თანამდებობა არ დაუკავებია. ვიცესპიკერობას ვინ ჩივის (არადა, მას სწორედ ამის იმედი ჰქონდა!), რომელიმე კომისიის თავმჯდომარის პოსტზეც კი არ აურჩევიათ.

ალექსანდრე ანქვაბი აფხაზეთის პრეზიდენტად მხოლოდ სამი წლის განმავლობაში იყო, თუმცა ამ დროის მანძილზეც ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა მართვის მისეული სტილი, რომელსაც 2011 წლიდან 2014 წლამდე მონაკვეთში შეიძლება, „ანქვაბის ეპოქა“ ეწოდოს.

თუ საგარეო პოლიტიკაზე ვილაპარაკებთ, ალექსანდრე ანქვაბის პრეზიდენტობის დროს განსაკუთრებით აქტიური იყო კონტაქტები რუსეთის ხელისუფლებასთან: მისი არჩევის დროს მხოლოდ სამი წელი იყო გასული მოსკოვის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლად აღიარებიდან, მაგრამ პარადოქსი – სწორედ ალექსანდრე ანქვაბის მმართველობის დროს რუსეთის მხრიდან გამოწვდილი მეგობრობის ხელი ჰაერში დარჩა, თანაც საკმაოდ ხანგრძლივად.

პრეზიდენტად არჩევამდე ალექსანდრე ანქვაბი, მართალია, ვიცეპრეზიდენტიც იყო და პრემიერ-მინისტრიც, მაგრამ მაინც სერგეი ბაღაფშის ჩრდილში რჩებოდა. როგორც კი იგი პრეზიდენტი გახდა, მან რუსული ბიზნესის დევნა დაიწყო. რუსული კომპანიები ალექსანდრე ანქვაბის ასეთი მოქმედებით შოკში ჩავარდნენ. მისთვის დამახასიათებელი ადმინის-



ტრაციულ-მბრძანებლური მანერით ალექსანდრე ანქვაბი, საკუთარი სიმპათიების საფუძველზე, კომპანიებს „ნებას რთავდა“ ან „უკრძალავდა“ ბიზნესსსაქმიანობას. მაგალითისათვის შეიძლება გავიხსენოთ გახმაურებული ისტორია, დაკავშირებული სასტუმრო „ასტორიასთან“, რუსეთის საზღვართან ახლოს, რომლის მშენებლობა პირადად ალექსანდრე ანქვაბის ბრძანებით შეჩერდა. განზრახული იყო სასტუმროს ჩამორთმევა მფლობელისათვის, მაგრამ ამ გეგმის განხორციელებას ხელი პრეზიდენტის გადადგომამ შეუშალა.

ამბობენ, რომ ალექსანდრე ანქვაბმა პირადად დახია ის ფურცლები, რომლებზეც დაბეჭდილი იყო რუსეთ-აფხაზეთის ახალი ხელშეკრულების პროექტის ტექსტი. დოკუმენტს ხელი მოგვიანებით მოეწერა, 2014 წელს. მხედველობაში გვაქვს ხელშეკრულება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ.

მისი წინამორბედი პრეზიდენტი სერგეი ბაღაფში ოსტატურად იცავდა შეკავება-საპირწონის სისტემას და არავის აძლევდა უფლებას, ვიწროკლანური და კორპორატიული ინტერესები სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა. ალექსანდრე ანქვაბის დროს კი სახელმწიფოს დაცემა დაიწყო. იგი ტიპური ქართული სტილით ცდილობდა კლანებისა და დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლას, რათა მათი ინტერესებით მანიპულირება მოეხდინა და საკუთარი ძალაუფლება განემტკიცებინა.

ალექსანდრ ზოლოტინსკოვიჩს უდიდესი გამოცდილება ჰქონდა ქართულ სამყაროში და ქართველ საზოგადოებაში მუშაობისა, იგი ხომ მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სამართალდამცავი სისტემის ხელმძღვანელობაში.

ალექსანდრე ანქვაბმა ხელი შეუწყო განხეთქილებას აფხაზეთის ეკლესიაში: პრეზიდენტ სერგეი ბაღაფშის ავადმყოფობის დროს ვიცეპრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი, ფაქტობრივად, სახელმწიფოს პირველი პირი იყო. მან მხარი დაუჭირა საეკლესიო „რასკოლნიკებს“ – იერომონახების დოროფეისა და ანდრეის მიერ მოწვეულ საეკლესიო კრებას, ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრის იღუმენ ეფრემის წინააღმდეგ. ალექსანდრე ანქვაბი ასეთი მოქმედებით იმედოვნებდა, რომ ორივე დაჯგუფების მანიპულირებას მოახდენდა, მოსკოვთან ივაჭრებდა... სამწუხარო რეალობაა: ასეთი პოლიტიკის ნეგატიური შედეგებს აფხაზური საზოგადოება კიდევ დიდი ხნის განმავლობაში „მოიმკის“.

ალექსანდრე ანქვაბი ხელისუფლებაში მოსვლისას მოსახლეობას რეფორმების გატარებას დაჰპირდა, ბევრი კარგი რეფორმის განხორციელებას, მაგრამ არცერთის რეალიზება არ მომხდარა. მან, უბრალოდ, თავისი წინამორბედების ყველაზე რთული და მნიშვნელოვანი საქმეები სამომავლოდ გადადო. ერთ-ერთი ასეთი გადადებული საქმე იყო უძრავი ქონების შესახებ კანონის მიღება, რომელიც ერთი მხრივ, შვებისმომგვრელი იქნებოდა რუსული ბიზნესისათვის, მეორე მხრივ კი შეწყვეტდა დანაშაულებრივ, თაღლითურ გარიგებებს. მაგრამ კრიმინალების წინააღმდეგ დაპირებული დარტყმა არ განხორციელდა, პირიქით, ალექსანდრე ანქვაბმა არსებული დანაშაულებრივი სქემები საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენა.

მისი, როგორც პრეზიდენტის ერთადერთ და მთავარ მიზანს ხელისუფლებაში ყოფნა წარმოადგენდა, საკუთარი თავის შესანარჩუნებლად. თუმცა ალექსანდრე ანქვაბს საბოლოოდ მაინც არ გაუმართლა: იგი სამარცხვინოდ გაექცა საკუთარ ხალხს და რუსეთის სამხედრო ბაზაში დაიმალა... აბა რა – ანტირუსული პოლიტიკოსი ხომ აფხაზეთიდან სხვაგან ვერსად გაიქცეოდა, მხოლოდ რუსეთში, რომელიც დედასავით ყველას იღებს და ჩადენილ შეცდომებს პატიობს. იმათაც კი, ვინც სულში აფურთხებს...

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ტილერსონი: „რუსეთი დასავლეთის არცერთ ქვეყანას საფრთხეს არ უნდა უქმნიდეს“

## მაკეინი აშშ-ის ადმინისტრაციას მოუწოდებს, სამხრეთი ევროპის ქვეყნებს მეტი დრო დაუთმოს

მარიამ მჭედლიშვილი

დონალდ ტრამპის არჩევის შემდეგ უცხოელი ექსპერტები გამოთქვამდნენ აზრს, რომ მსოფლიოში დაძაბულობა შენელდებოდა.

მისი გაპრეზიდენტებიდან 100 დღის შემდეგ ყველგან აღიარებენ, რომ მსოფლიოში მასშტაბური ომის საფრთხე გაიზარდა. ამერიკის ურთიერთობების უკიდურესად გაუარესებას ჩრდილოეთ კორეასთან, ასევე რუსეთთან, ჩინეთთან და ირანთან პირადად ტრამპს მიაწერენ.

უცხოელი კომენტატორების შეფასებით, ტრამპმა მარცხი განიცადა საშინაო პოლიტიკაში. იგი ვერ ასრულებს თავის დაპირებებს. მექსიკასთან კედლის ასაშენებლად მას ფული არ გამოუყო კონგრესმა, სასამართლომ გააუქმა პრეზიდენტის მიგრაციული ბრძანებულებები. ვერ ხორციელდება ჯანდაცვის ახალი რეფორმა, საგადასახადო ცვლილებები კი მხოლოდ განხილვის დონეზეა.

მიმომხილველების აზრით, ამ ჩავარდნების საკომპენსაციოდ დონალდ ტრამპი გადაერთო საერთაშორისო დღის წესრიგზე, მაგრამ



წარმატებები აქაც ვერ მოიპოვა.

ამერიკული ჯარის მიერ განხორციელებულ იერიშს სირიის ავიაბაზაზე თავის დროზე დადებითი შეფასებები მოჰყვა. ამჟამად ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ დარტყმას სირიაზე არ ჰქონია სამხედრო და სტრატეგიული შედეგი. პირიქით, ამან გაართულა სირიის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგება. გარდა ამისა, ტრამპმა გააღვივა კონფლიქტი ჩრდილოეთ კორეასთან, ასევე დაძაბა ურთიერთობები რუსეთთან და ჩინეთთან.

– უნდა მივაღწიოთ კორეის ნახევარკუნძულის გადაქცევას უბირთვო ზონად, – ასე განმარტავს თეთრი სახლის ადმინისტრაციის პოლიტიკას სახელმწიფო მდივანი რექს ტილერსონი.

იგი ახასიათებს აშშ-ის კურსს რუსეთის მიმართაც.

– ჩვენ ვისურვებდით, რომ რუსეთი არ ემუქრებოდეს აშშ-ს და არ ქმნიდეს საფრთხეს ჩვენთვის ან დასავლეთის ნებისმიერი ქვეყნისათვის. რუსეთის ინტერესები უნდა იყოს გლობალური სამყაროს ნაწილი და არ მოქმედებდეს დამანგრევლად, – აღნიშნავს სახელმწიფო მდივანი.

ტრამპის ოპონენტი ბევრ საკითხში, სენატორი ჯონ მაკეინი თეთრ სახლს მოუწოდებს, მეტი ყურადღება დაუთმოს ბალკანეთს.

მისი შეფასებით, სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დგანან.

მაკედონიაში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში, ალბანეთსა და კოსოვოში პოლიტიკური დაძაბულობა იზრდება. რეგიონში რუსეთი ცდილობს, გაზარდოს თავისი დამღუპველი გავლენა. ამის დრამატული მაგალითია გადატრიალების მცდელობა მონტენეგროში შარშან ოქტომბერში. ეს მოხდა რუსეთის ხელშეწყობით. რუსეთს ამ გზით უნდოდა შეეჩერებინა მონტენეგროს შესვლა ნატოში.

მაკეინის აზრით, ვაშინგტონმა ხელი უნდა შეუწყოს ევროპის ქვეყნების ინტეგრაციას ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში და დაიცვას ქვეყნების არჩევანის უფლება.

ექსპერტები შეშფოთებას გამოთქვამენ მილიტარიზაციაზე, რომელსაც რუსეთი მთელ რეგიონში ახორციელებს.

მიღწეული შეთანხმების თანახმად, რუსეთისგან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის შეიარაღებას თურქეთიც შეიძენს. ნატოსთან ამგვარი გარიგება არ გამოვიდა.

რუსეთის პრეზიდენტს, ომის გარდა, მომავალი არჩევნებიც აღელვებს. საპრეზიდენტო არჩევნები რუსეთში 2018 წლის მარტშია დანიშნული. იტალიური „კორიერა დელა სერას“ თქმით, პუტინის რეიტინგი არც ისე მაღალია, ამიტომ მას გამარჯვებისთვის ახალი დღის წესრიგის შემუშავება სჭირდება.

# ნატო აშშ-სა და ფხენიანის დაპირისპირებაში არ ჩაერევა



ჩრდილოატლანტიკური ალიანსი აშშ-სა და ჩრდილოეთ კორეის დაპირისპირებაში არ ჩაერევა.

ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა განაცხადა:

– ეს ჩვენ საქმე არ არის.

გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული უთანხმოება მხოლოდ პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს.

– სამხედრო მეთოდებით საკითხი ვერ გადაწყდება, – თვლის გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

# ავღანეთში ისლამისტების ლიდერი მოკლეს



ამერიკელმა ჯარისკაცებმა და ავღანეთის შეიარაღებულმა ძალებმა ერთობლივი ოპერაცია ჩაატარეს.

მისი მიზანი ავღანეთში მოქმედი ისლამური სახელმწიფოს ლიდერ აბდულ ჰასაბის განადგურება იყო.

აბდულ ჰასაბი თავის თავს ემირს უწოდებდა.

თვითმარქვია ემირი ავღანეთ-პაკისტანის საზღვართან მდებარე გამოქვაბულს აფარებდა თავს. მიუხედავად ამისა, სპეცოპერაცია წარმატებით დასრულდა. აბდულ ჰასაბი ლიკვიდირებულია.

# პეტერბურგში საპროტესტო აქცია დაარბიეს



პეტერბურგში პოლიციამ პუტინის წინააღმდეგ გამართული აქცია დაარბია.

მისი ორგანიზატორი იყო მოძრაობა „ოტკრიტაია როსია“. დაკავებულია 30 მანიფესტანტი. ყველა მათგანის წინააღმდეგ საქმე ხულიგნობის ბრალდებით აღიძრა.

აქცია არასანქცირებული იყო. მოძრაობის ლიდერები აცხადებენ, რომ უახლოეს მომავალში მსგავსი აქციები განმეორდება.

# ოდესა: ქუჩისთვის ჟუკოვის სახელის აღდგენამ ხალხის პროტესტი გამოიწვია

ცოტა ხნის წინ ოდესის საოლქო საბჭომ ქუჩებს ძველი საბჭოური დასახელებები დაუბრუნა. ოდესაში კვლავ გაჩნდა მარშალ ჟუკოვის, კომუნარებისა თუ სხვათა ქუჩები.



ოდესელები განსაკუთრებით ჟუკოვის ქუჩისთვის სახელის აღდგენამ აღაშფოთა – 1947 წელს, როცა დამშეული მოსახლეობა ქუჩაში გამოვიდა და სასურსათო მაღაზიების ძარცვა დაიწყო, სწორედ ჟუკოვის ბრძანებით (ის მაშინ ოდესის სამხედრო ოლქის სარდალი იყო) ოდესაში სასაკლაო მოეწყო. ჯარისკაცებმა ხალხს ცეცხლი გაუხსნეს. მოკლეს 80-მდე ადამიანი, 200-ზე მეტი დაიჭრა.

ქალაქის ერთ-ერთი ქუჩისათვის ჟუკოვის სახელის აღდგენამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია. ოდესელები ქუჩაში გამოვიდნენ. შედეგად ოდესის მერმა ტრუხანოვმა საოლქო საბჭოს გადაწყვეტილება შეაჩერა.

სასამართლომ საოლქო საბჭოს დადგენილება უკანონოდ ცნო. ოდესაში კვლავ დარჩა ჰეტმან მაზეპასა თუ სხვა უკრაინელი გმირების სახელობის ქუჩები. მარშალ ჟუკოვის ქუჩას კი სახელწოდება არ აღუდგა.

მან პრორუსული ძალების მძაფრი აღშფოთება გამოიწვია.

2 მაისს ოდესაში მოსალოდნელია პროვოკაციები.

# კუბაში სამხედრო თვითმფრინავი ჩამოვარდა



არტემისის პროვინციაში კუბის სამხედრო თვითმფრინავმა კატასტროფა განიცადა.

დაიღუპა 8 ადამიანი.

კუბის მთავრობამ კატასტროფის მიზეზთა შესასწავლად სპეციალური კომისია შექმნა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

**საუკეთესო ტრადიციული ეფექტური სამკურნალო საშუალება მალამო „მენტორი პირველი“**

ტრადიციული საუკეთესო საუკუნოვანი გამოცდილების მქონე ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში დღეში ორჯერ - დილას და საღამოს.

☎ 599-73-48-21.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

**მკურნალობა**

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ლოკომოტივმა და საბურთალომ დიდი ანგარიშებით იმარჯვეს



**ლოკომოტივი-ჩიხურა 5:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი 2**

1:0 სიხარულიძე (14), 2:0 უბილავა (71), 3:0, 4:0 გავაშელიშვილი (75, 78), 5:0 სიხარულიძე (85)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ხიდეშელი, ღონღაძე, რეხვიაშვილი, ჭანტურია, დიასამიძე (არველაძე 72), უბილავა, კომახიძე (თომაშვილი 80), კიკნაძე (გავაშელიშვილი 65), სამურკასოვი, სიხარულიძე

**ჩიხურა:** ჰამჟიჩი, კაშია, კაკუბავა, ჩიკვაიძე (გეგეჭკორი 69), მირცხულავა, განუგრავა, ლექვთაძე, კორიფაძე, ტატანაშვილი, ივანიშვილი (დეკანოიძე 73), სარდალიშვილი

ლოკომოტივსა და ჩიხურას შორის ეროვნული ლიგის მე-9 ტურის მატჩი თბილისელებმა გამანადგურებელი ანგარიშით მოიგეს. მიმდინარე სეზონში გიორგი დევდარიანის გუნდმა მესამე მატჩი მოიგო 5:0.

სატურნირო მდგომარეობის თვალსაზრისით ორივე გუნდისთვის ამ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ლოკომოტივი 15 ქულით მესამე ადგილზე იმყოფებოდა, მეოთხეზე მყოფი ჩიხურა კი მეტოქეს 2 ქულით ჩამორჩებოდა.

ბრძოლა არ შედგა — ლოკომოტივმა ყველაფერში დაჯაბნა მეტოქე, რომელმაც საქართველოს ევროპის ლიგაზე უნდა წარმოაჩინოს. ასეთი თამაშით კი უფრო სირცხვილი გველის, ვიდრე — წარმოჩენა.

ანგარიში სიხარულიძემ გახსნა, რომელსაც გატანა მანამდეც შეეძლო, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი კაკუბავამ გამოიტანა. სიხარულიძემ მომდევნო შანსი გამოიყენა — ბურთი მეკარისგან შორეულ დაბალ კუთხეში გაგზავნა და ანგარიშიც გაიხსნა.

გოლის გაშვების შემდეგ ჩიხურას ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა გამოუჩნდა, მაგრამ ჩიკვაიძის დარტყმის შემდეგ კოლომოტივი გაშვებული გოლისგან კაპიტანმა ჭანტურიამ იხსნა.

შემდეგ იყო ლექვთაძის საჯარიმო დარტყმა, რომლის შემდეგ თევდორაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

ტაიმის ბოლომდე გუნდებმა თითო მომენტიც გაცვალეს — ჯერ დიასამიძემ დაარტყა სახიფათოდ, მაგრამ არაზუსტად, შემდეგ კი განუგრავამ მეტოქის ცარიელი კარი დაინახა, ცენტრიდან შეეცადა ბურთი თევდორაძის ზურგსუკან ჩაეშვა, მაგრამ მიზანმა მასაც უმტყუნა.

მეორე ტაიმში ლოკომოტივმა საერთოდ დაჯაბნა მეტოქე. საჩხერელებს ღირებული არაფერი გაუკეთებიათ, გოლი კი ბლომად მიიღეს.

სანამ გოლებს გაიტანდნენ, მანამდეც შეეძლოთ რკინიგზელებს ჩიხურას კარის აღება, მაგრამ ხან ჰამზიჩი ყოჩაღობდა და ხანაც მიზანს ვერ ისწორებდნენ.

65-ე წუთზე ლოკომოტივის თავკაცმა გიორგი დევდარიანმა კიკნაძის ნაცვლად მოედანზე გავაშელიშვილი შეუშვა, რომელმაც საერთოდ აიკლო ჩიხურა — 2 გოლი და საგოლე პასი ჩაიწერა თავის ანგარიშზე.

სანამ გავაშელიშვილი გაიტანდა, მანამდე უბილავამაც მოასწრო ჰამზიჩის დამწუხრება, თუმცა ამაში კაკუბავა წაეხმარა, რომელიც კარისკენ მიმავალ ბურთს შეეხო და მიმართულება შეუცვალა.

**საბურთალო-შუქურა 5:0**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 შინდაგორიძე (27), 2:0 მარგველაშვილი (51), 3:0 ვაგნერი (76), 4:0 ალთუნაშვილი (87), 5:0 მალი (90)

**საბურთალო:** კუპატაძე, მალი, მარგველაშვილი (ცნობილაძე 79), მამუჩაშვილი, ლაკვეხელიანი, არზიანი (კოხრეიძე 63), ელვინ ტერა, ვაგნერი, გვარაძე, ფიფია (ალთუნაშვილი 58), შინდაგორიძე

**შუქურა:** სტურუა, ჩაჩუა, კლეცკოვი, მახარაძე, მამულაშვილი, ჭეჭელაშვილი, გერალდო, საბაძე (რუდნიცკი 61), ართმელაძე (ჭანუყვაძე 81), კლიმიაშვილი, დაგარგულია (შალამბერიძე 65)

დედაქალაქურმა საბურთალომ ქობულეთის შუქურას უმასპინძლა და დიდი ანგარიშით, 5:0 იმარჯვა. პირველი ტაიმი თბილისელებმა მინიმალური სხვაობით მოიგეს, მეორე ნახევარში კი მეტოქეს კიდევ ოთხჯერ გაუტანეს.

წლევანდელ ეროვნულ ლიგაში საბურთალომ პირველად მოახერხა ერთ მატჩში 5 ბურთის გატანა. მეორედ წააგო ასეთი ანგარიშით შუქურამ.

საბურთალოელთა შემადგენლობაში პირველი გოლები გაიტანეს ნიკოლოზ მალიმ და ლაშა შინდაგორიძემ. ამ უკანასკნელს, კიდევ შეეძლო თავის გამოჩენა, მაგრამ ერთხელ ძელს მოხვდა ბურთი, ერთხელაც მეკარემ არ გაატანინა.

პირველ ნახევარში გონსალოს ვაგნერი შეიჭრა საჯარიმოში და კარშიც დაარტყა, მაგრამ მეკარემ ითამაშა საიმედოდ. მალე კი ზურაბ არზიანის ძლიერად გასროლილი სტურუამ ნახტომში მოიგერია. 27-ე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა — ბრაზილიელი ვაგნერი პირისპირ გავიდა, მეკარემ ამ შემთხვევაშიც გამარჯვებული გამოვიდა, მაგრამ გადმოვარდნილ ბურთზე ყველას ლაშა შინდაგორიძემ დაასწრო — 1:0.

მეორე ტაიმი ახალი დაწყებული იყო, როდესაც სტანდარტული მდგომარეობიდან ვაგნერმა საჯარიმოში ჩააწოდა, ყველას გაგი მარგველაშვილმა დაასწრო და თავით გადაგზავნა ბურთი მეტოქის კარში. 76-ე წუთზე თავად ვაგნერის ჯერი დადგა — ბრაზილიელმა საჯარიმო დარტყმიდან ეფექტური გოლი გაიტანა. მატჩის ბოლოსკენ თბილისელებმა კიდევ ორჯერ აიღეს მეტოქის კარი — ჯერ ახალგაზრდა ნიკოლოზ მალიმ გამოიჩინა თავი. შეხვედრას წერტილი კი სანდრო ალთუნაშვილმა დაუსვა, რომლის დარტყმულსაც ქობულეთელებმა ვერაფერი მოუხერხეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ლოკომოტივი | 9 | 5 | 3 | 1 | 23-7 | 18 |
| 2.დინამო (თბ) | 8 | 6 | 0 | 2 | 14-4 | 18 |
| 3.საბურთალო | 9 | 5 | 0 | 4 | 13-10 | 15 |
| 4.ტორპედო | 8 | 4 | 3 | 1 | 12-7 | 15 |
| 5.ჩიხურა | 9 | 4 | 1 | 4 | 11-13 | 13 |
| 6.სამტრედია | 8 | 3 | 2 | 3 | 6-8 | 11 |
| 7.დინამო (ბთ) | 8 | 3 | 0 | 5 | 6-9 | 9 |
| 8.დილა | 8 | 1 | 5 | 2 | 7-8 | 8 |
| 9.კოლხეთი | 8 | 2 | 1 | 5 | 11-16 | 7 |
| 10.შუქურა | 9 | 0 | 3 | 6 | 5-26 | 3 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე — 10 ბურთი; მამია გავაშელიშვილი (ორივე ლოკომოტივი) — 8; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) — 5; ბაჩანა არაბული (დინამო თბ) — 5;

# ქუთაისი საქართველოს თასის მფლობელია

**დინამო-ქუთაისი 77:86**

**(9:26, 25:26, 26:16, 17:18)**

საქართველოს თასის მფლობელი საკალათბურთო კლუბი ქუთაისი გახდა. შარშან წაგებული ფინალის შემდეგ იმერულმა კლუბმა ამჯერად მოახერხა დინამოს დამარცხება და სეზონის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ ტიტულს დაეპატრონა.



არადა, მიმდინარე სეზონში ქუთაისურ კლუბს ყველა მატჩი ჰქონდა „დინამოსთან“ წაგებული. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა თბილისურმა კლუბმა ქუთაისს სუპერლიგის რეგულარული ჩემპიონატის ოთხივე მატჩი მოუგო. ფინალური შეხვედრა განსხვავებული გამოდგა — კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა ქუთაისელებმა გონივრულად ჩაატარეს მთელი შეხვედრა და სატიტულო მატჩი დამაჯერებლად მოიგეს.

თბილისის ოლიმპიურ სასახლეში გამართული შეხვედრა სტუმრების უპირატესობით დაიწყო. ყველა კომპონენტში მოწოდების სიმაღლეზე მყოფმა ქუთაისელებმა პირველი პერიოდი 26:9 მოიგეს. მეორე მეოთხედში სტუმართა დომინირება გაგრძელდა. მთავარი შემტევი იარაღი სამქულიანი სროლები იყო. ქუთაისის კალათბურთელებმა პირველ ნახევარში განხორციელებული საწყისი 10 შორი სროლიდან 9 ჩააგდეს და ერთ მომენტში 25 ქულითაც დაწინაურდნენ, თუმცა ტაიმის ბოლოს დინამოც გამოფხიზლდა და სხვაობა 18 ქულამდე დაიყვანა. მიუხედავად ამისა, ქუთაისელები დიდ შესვენებაზე დამშვიდებულები გავიდნენ.

მესამე მეოთხედში დინამოელებმა თამაში გამოასწორეს. ილია ლონდარიძისა და მიხეილ ბერიშვილის შედეგიანობას ჩამორჩენის შემცირება მოჰყვა. თბილისურმა გუნდმა მესამე პერიოდი 26:16 მოიგო და გადამწყვეტი 10-წუთეულის წინ ჩამორჩენა 8 ქულამდე შეამცირა. დასკვნით პერიოდში დინამომ 6 ქულამდე დაიყვანა სხვაობა და თითქოს თამაშში დაბრუნდა, მაგრამ დაცვისა და შეტევის კომბინირებულად გამართულმა თამაშმა ქუთაისელები გამარჯვებამდე ისე მიიყვანა, ვითარება არ დაძაბულა.

საბოლოოდ 86:77 — ქუთაისის სასარგებლოდ, რომელმაც საქართველოს თასი მეორედ მოიგო.

თასის მფლობელებს 19 ქულით აკაკი ლომოურმა ულიდერა. 12-12 ქულა დააგროვეს გიორგი ცინცაძემ და ზაურ ფაშაევმა. 11 ქულა მიითვალა გოგა ცეკვავამ, 9 ქულა და 8 მოხსნა ბოსნიელი დრაგან ტუბაკის ანგარიშზე დაგროვდა. დინამოში 25 ქულით საუკეთესო იყო ილია ლონდარიძე. 16 ქულა — მიხეილ ბერიშვილმა, ხოლო 15 დეონტა ვონმა მოაგროვეს.

**მატჩის საუკეთესო მოთამაშედ აკაკი ლომოური დაასახელეს:**

— დინამომ ამ სეზონში ყველა მატჩი მოგვიგო, რაც ძალიან დიდი მოტივაცია იყო ჩვენთვის, ბოლომდე გვებრძოლა და ამან შედეგი გამოიღო. ყველამ მაქსიმუმი გაიღო და სოლიდურ მეტოქეს პრინციპული მატჩი მოვუგეთ. რაც შეეხება ჩემს ტიტულს, ეს მთელი გუნდის დამსახურებაა. ბიჭები ყველანაირად გვერდში მედგნენ და ეს ტიტული მათაც ეკუთვნით. წინ სუპერლიგის პლეიოფია და ახლა მთლიანად მომავალ მატჩებზე გადავერთვებით.

**კოტე ტუღუში, ქუთაისის მთავარი მწვრთნელი:**

— ვულოცავ ჩვენს გუნდს და ქუთაისელებს ამ გამარჯვებას. თასის მოგება ძალიან მნიშვნელოვანი იყო ამ ეტაპზე. დინამოსთან მიმდინარე სეზონში საკმაოდ ბევრი მატჩი წავაგეთ და წინ სავარაუდოდ არაერთი დაძაბული მატჩი გველოდება. ფინალში კი ჩვენი დღე იყო. ბიჭებმა დამაჯერებლად ითამაშეს, მეტოქეს არაფერი დაუთმეს და ერთიანი ძალებით მოვახერხეთ ტიტულის მოგება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## შედეგები

### 29 აპრილი

**ფეხბურთი**

**ინგლისი. პრემიერლიგა**

საუთჰემპტონი-ჰალი ........ 0:0
სტოკი-ვესტ ჰემი ........ 0:0
სანდერლენდი-ბორნმუთი ........ 0:1
ვესტ ბრომვიჩი-ლესტერი ........ 0:1
კრ. პალასი-ბარნლი ........ 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 33 | 25 | 3 | 5 | 69-29 | 78 |
| 2.ტოტენჰემი | 33 | 22 | 8 | 3 | 69-22 | 74 |
| 3.ლივერპული | 34 | 19 | 9 | 6 | 70-42 | 66 |
| 4.სიტი | 33 | 19 | 8 | 6 | 63-35 | 65 |
| 5.მანჩესტერი | 33 | 17 | 13 | 3 | 50-24 | 64 |
| 6.არსენალი | 32 | 18 | 6 | 8 | 64-40 | 60 |
| 7.ევერტონი | 34 | 16 | 10 | 8 | 60-37 | 58 |
| 8.ვესტ ბრომვიჩი | 34 | 12 | 8 | 14 | 39-43 | 44 |
| 9.საუთჰემპტონი | 33 | 11 | 8 | 14 | 39-44 | 41 |
| 10.ბორნმუთი | 35 | 11 | 8 | 16 | 50-63 | 41 |
| 11.ლესტერი | 34 | 11 | 7 | 16 | 42-54 | 40 |
| 12.სტოკი | 35 | 10 | 10 | 15 | 37-50 | 40 |
| 13.უოტფორდი | 33 | 11 | 7 | 15 | 37-54 | 40 |
| 14.ბარნლი | 35 | 11 | 6 | 18 | 35-49 | 39 |
| 15.ვესტ ჰემი | 35 | 10 | 9 | 16 | 44-59 | 39 |
| 16.კრ.პალასი | 35 | 11 | 5 | 19 | 46-56 | 38 |
| 17.ჰალი | 35 | 9 | 7 | 19 | 36-67 | 34 |
| 18.სუონსი | 34 | 9 | 4 | 21 | 39-68 | 31 |
| 19.მიდლსბრო | 34 | 5 | 12 | 17 | 24-43 | 27 |
| 20.სანდერლენდი | 34 | 5 | 6 | 23 | 26-60 | 21 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

ბარნსლი-ბარტონი ........ 1:1
ბირმინგემი-ჰადერსფილდი ........ 2:0
ბლექბერნი-ასტონ ვილა ........ 1:0
დერბი-ვულვზი ........ 3:1
ფულემი-ბრენტფორდი ........ 1:1
იფსვიჩი-უენსდი ........ 0:1
ლიდსი-ნორვიჩი ........ 3:3
პრესტონი-როტერჰემი ........ 1:1
ქპრ-ნოტინგემი ........ 2:0
რედინგი-უიგანი ........ 1:0
ბრაიტონი-ბრისტოლი ........ 0:1

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

სოსიედადი-გრანადა ........ 2:1
რეალი-ვალენსია ........ 2:1
ლას პალმასი-ატლეტიკო ........ 0:5
ესპანიოლი-ბარსელონა ........ 0:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 35 | 25 | 6 | 4 | 104-33 | 81 |
| 2.რეალი | 34 | 25 | 6 | 3 | 92-39 | 81 |
| 3.ატლეტიკო | 35 | 21 | 8 | 6 | 65-25 | 71 |
| 4.სევილია | 34 | 20 | 8 | 6 | 60-40 | 68 |
| 5.ვილიარეალი | 35 | 18 | 9 | 8 | 52-28 | 63 |
| 6.სოსიედადი | 35 | 19 | 4 | 12 | 54-48 | 61 |
| 7.ბილბაო | 34 | 18 | 5 | 11 | 48-38 | 59 |
| 8.ეიბარი | 34 | 14 | 9 | 11 | 52-45 | 51 |
| 9.ესპანიოლი | 35 | 13 | 11 | 11 | 45-47 | 50 |
| 10.ალავესი | 34 | 11 | 12 | 11 | 32-40 | 45 |
| 11.სელტა | 33 | 13 | 5 | 15 | 49-54 | 44 |
| 12.ვალენსია | 35 | 11 | 7 | 17 | 50-61 | 40 |
| 13.მალაგა | 34 | 10 | 9 | 15 | 40-49 | 39 |
| 14.ლას პალმასი | 35 | 10 | 9 | 16 | 52-66 | 39 |
| 15.ბეტისი | 34 | 10 | 7 | 17 | 37-53 | 37 |
| 16.დეპორტივო | 34 | 7 | 10 | 17 | 37-57 | 31 |
| 17.ლეგანესი | 34 | 7 | 9 | 18 | 30-51 | 30 |
| 18.ხიხონი | 35 | 5 | 9 | 21 | 38-70 | 24 |
| 19.გრანადა | 35 | 4 | 8 | 23 | 28-74 | 20 |
| 20.ოსასუნა | 34 | 3 | 9 | 22 | 35-82 | 18 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

მურსია-ტენერიფე ........ 1:0
ლევანტე-ოვიედო ........ 1:0
ვალიადოლიდი-ნუმანსია ........ 1:1
სარაგოსა-ხეტაფე ........ 1:2

**გერმანია. ბუნდესლიგა**

დორტმუნდი-კიოლნი ........ 0:0
მაინცი-გლადბახი ........ 1:2
ვერდერი-ჰერტა ........ 2:0
დარმშტადტი-ფრაიბურგი ........ 3:0
ლაიპციგი-ინგოლშტადტი ........ 0:0
ვოლფსბურგი-ბაიერნი ........ 0:6

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 31 | 22 | 7 | 2 | 79-17 | 73 |
| 2.ლაიპციგი | 31 | 19 | 6 | 6 | 56-31 | 63 |
| 3.დორტმუნდი | 31 | 16 | 9 | 6 | 65-35 | 57 |
| 4.ჰოფენჰაიმი | 30 | 14 | 13 | 3 | 57-32 | 55 |
| 5.ჰერტა | 31 | 14 | 4 | 13 | 38-37 | 46 |
| 6.ვერდერი | 31 | 13 | 6 | 12 | 52-51 | 45 |
| 7.ფრაიბურგი | 31 | 13 | 5 | 13 | 38-55 | 44 |
| 8.კიოლნი | 31 | 10 | 12 | 9 | 43-37 | 42 |
| 9.გლადბახი | 31 | 12 | 6 | 13 | 41-45 | 42 |
| 10.შალკე | 31 | 11 | 8 | 12 | 43-36 | 41 |
| 11.აინტრახტი | 30 | 11 | 8 | 11 | 32-34 | 41 |
| 12.ლევერკუზენი | 31 | 10 | 6 | 15 | 44-50 | 36 |
| 13.მაინცი | 31 | 9 | 6 | 16 | 40-51 | 33 |
| 14.ვოლფსბურგი | 31 | 9 | 6 | 16 | 30-49 | 33 |
| 15.ჰამბურგი | 30 | 9 | 6 | 15 | 30-55 | 33 |
| 16.აუგსბურგი | 30 | 8 | 8 | 14 | 29-49 | 32 |
| 17.ინგოლშტადტი | 31 | 8 | 5 | 18 | 33-54 | 29 |
| 18.დარმშტადტი | 31 | 7 | 3 | 21 | 26-58 | 24 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ნიურნბერგი-შტუტგარტი ........ 2:3
კარლსრუჰე-ჰაიდენჰაიმი ........ 1:3
არმინია-ფიურტი ........ 1:1

**იტალია. სერია ა**

ტორინო-სამპდორია ........ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 34 | 27 | 3 | 4 | 70-22 | 84 |
| 2.რომა | 33 | 24 | 3 | 6 | 74-28 | 75 |
| 3.ნაპოლი | 33 | 21 | 8 | 4 | 77-35 | 71 |
| 4.ლაციო | 33 | 19 | 7 | 7 | 60-38 | 64 |
| 5.ატალანტა | 34 | 19 | 7 | 8 | 58-39 | 64 |
| 6.მილანი | 33 | 17 | 7 | 9 | 50-37 | 58 |
| 7.ინტერი | 33 | 17 | 5 | 11 | 63-42 | 56 |
| 8.ფიორენტინა | 33 | 15 | 10 | 8 | 55-45 | 55 |
| 9.ტორინო | 34 | 12 | 13 | 9 | 64-55 | 49 |
| 10.სამპდორია | 34 | 12 | 10 | 12 | 42-42 | 46 |
| 11.უდინეზე | 33 | 12 | 7 | 14 | 43-44 | 43 |
| 12.კალიარი | 33 | 11 | 5 | 17 | 46-64 | 38 |
| 13.კიევო | 33 | 11 | 5 | 17 | 36-52 | 38 |
| 14.სასუოლო | 33 | 10 | 6 | 17 | 42-52 | 36 |
| 15.ბოლონია | 33 | 9 | 8 | 16 | 31-49 | 35 |
| 16.ჯენოა | 33 | 7 | 9 | 17 | 32-57 | 30 |
| 17.ემპოლი | 33 | 7 | 8 | 18 | 22-51 | 29 |
| 18.კროტონე | 33 | 6 | 6 | 21 | 28-53 | 24 |
| 19.პალერმო | 33 | 3 | 7 | 23 | 27-73 | 16 |
| 20.პესკარა | 33 | 2 | 8 | 23 | 32-74 | 14 |

**იტალია. სერია ბ**

ლატინა-ასკოლი ........ 0:0
ტერნანა-კარპი ........ 0:0
ჩიტადელა-ჩეზენა ........ 2:3
პრო ვერჩელი-პერუჯა ........ 0:1
ბარი-პიზა ........ 0:0
სპეცია-სპალი ........ 0:0
ტრაპანი-ენტელა ........ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

მონაკო-ტულუზა ........ 3:1
მონპელიე-ლილი ........ 0:3
ბასტია-რენი ........ 1:0
ნანტი-ლორიანი ........ 1:0
გენგამი-სტ. ეტიენი ........ 0:2
მეცი-ნანსი ........ 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მონაკო | 34 | 26 | 5 | 3 | 95-29 | 83 |
| 2.პსჟ | 34 | 25 | 5 | 4 | 71-23 | 80 |
| 3.ნიცა | 34 | 21 | 11 | 2 | 56-28 | 74 |
| 4.ლიონი | 34 | 18 | 3 | 13 | 68-42 | 57 |
| 5.ბორდო | 34 | 15 | 10 | 9 | 49-39 | 55 |
| 6.მარსელი | 34 | 14 | 10 | 10 | 48-38 | 52 |
| 7.სტ.ეტიენი | 34 | 12 | 13 | 9 | 38-30 | 49 |
| 8.ნანტი | 35 | 13 | 9 | 13 | 34-47 | 48 |
| 9.რენი | 35 | 10 | 14 | 11 | 32-39 | 44 |
| 10.გენგამი | 35 | 12 | 8 | 15 | 40-49 | 44 |
| 11.ლილი | 35 | 12 | 7 | 16 | 37-41 | 43 |
| 12.ტულუზა | 35 | 10 | 12 | 13 | 36-39 | 42 |
| 13.მონპელიე | 35 | 10 | 9 | 16 | 47-60 | 39 |
| 14.ანჟე | 35 | 11 | 6 | 18 | 35-48 | 39 |
| 15.მეცი | 35 | 10 | 9 | 16 | 36-70 | 39 |
| 16.ლორიანი | 35 | 10 | 4 | 21 | 42-66 | 34 |
| 17.კაენი | 34 | 9 | 6 | 19 | 33-58 | 33 |
| 18.დიჟონი | 34 | 7 | 11 | 16 | 44-54 | 32 |
| 19.ნანსი | 35 | 8 | 8 | 19 | 26-46 | 32 |
| 20.ბასტია | 34 | 7 | 10 | 17 | 27-48 | 31 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

ტრუა-ბრესტი ........ 1:0

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ბოავიშტა-ტონდელა ........ 1:0
ნასიონალი-რიუ ავე ........ 0:2
ბენფიკა-ეშტორილი ........ 2:1
შავიში-პორტუ ........ 0:2

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ლოკომოტივი-რუბინი ........ 0:1
ტერეკი-ურალი ........ 5:2

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

**პლეი აუტი**

ჰამილტონი-კილმანროკი ........ 0:2
მოზერველი-დანდი ........ 2:3

**პლეი ოფი**

რეინჯერსი-სელტიკი ........ 1:5
აბერდინი-სტ.ჯონსონი ........ 0:2
ჰართსი-პარტიკი ........ 2:2

**შვეიცარია. ჩელენჯლიგა**

ლოზანა-ვადუცი ........ 1:3

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

აუსტრია-შტურმი ........ 4:1
ვოლფსბერგერი-მატერსბურგი ........ 2:2
ზალცბურგი-რიდი ........ 1:1
სტ.პოლტენი-ალტახი ........ 3:3

**ბელგია. 1 დივიზიონი**

**პლეი ოფი (ელ)**

გენკი-კორტრაიკი ........ 3:0
ბევერენი-სტ.ტრუიდენი ........ 0:1
ლოკერენი-ეუპენი ........ 4:1
ლიერსი-მეხელენი ........ 0:0

**თურქეთი. სუპერლიგა**

ქაისერი-ანთალია ........ 3:0
ტრაბზონი-გენჩლერი ........ 0:0

**ჩეხეთი. სინოტ ლიგა**

ზლინი-ბოლესლავი ........ 1:2
პლზენი-დუკლა ........ 2:0

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

**პლეი ოფი**

ლეხია-ნეცეჩა ........ 2:0

**პლეი აუტი**

პლოცკი-რუხი ........ 1:1
შლიონსკი-ლეჩნა ........ 0:2

**უკრაინა. პრემიერლიგა**

**პლეი აუტი**

ზვეზდა-კარპატი ........ 3:2
ვორსკლა-სტალი ........ 2:0

**დანია. სუპერლიგა**

**პლეი ოფი**

მიდტიულანდი-ნორდსიელანდი ........ 3:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

ჰამარბი-ესკილსტუნა ........ 4:0

**ნორვეგია. ელიტსერია**

ბრანი-ვიკინგი ........ 1:1

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კუუპიო-ილვესი ........ 0:1
ლახტი-ჯჯკ ........ 1:1
როვანიემი-კემი ........ 3:1
ჰიკი-ინტერი ........ 1:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, განწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6

☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# თორნიკე შენგელია:
# „წინა ევრობასკეტზე მერვედფინალში წავაგეთ. არ გვინდა, იგივე გამეორდეს“

დასაწყისი მე-12 გვერდზე

თავად შენგელია ევრობასკეტის ფინალურ ეტაპზე მესამედ ითამაშებს, მის ნაკრებს კი ასპარეზობა თელ ავივში მოუწევს, სადაც ბ ჯგუფში მეტოქეებად მასპინძელი ისრაელი, გერმანია, იტალია, ლიტვა და უკრაინა ეყოლება.

– ნამდვილად რთული ჯგუფია, თუმცა, მთავარია, ყველანი ჯანმრთელად ვიყოთ. თუკი სასურველი შემადგენლობა შევკრიბეთ, მეტოქეობის გაწევა ნებისმიერი გუნდისთვის შეგვიძლია.

2011 წელს, გუნდისთვის სადებიუტო ევროპის ჩემპიონატზე, ქართველმა კალათბურთელებმა ბელგიას და უკრაინას სძლიეს და მე-2 ჯგუფურ ეტაპზე გააღწიეს. 2 წლის თავზე, სლოვენიაში, საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ პოლონეთს მოუგო, დანარჩენი 4 მატჩი კი დათმო და ასპარეზობა საწყის ეტაპზევე დაასრულა.

ევრობასკეტ-2015-ზე ზაგრებში ქართველებმა ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩებში მაკედონიასა და მასპინძელ ხორვატიას მოუგეს და პლეიოფშიც გავიდნენ, სადაც ლიტვასთან დრამატული ბრძოლა გადახდათ. მაშინ ქართველებმა ვერაფრით შეაჩერეს იონას მაჩიულისი, რომელმაც ლამის ყველაფერი ჩააგდო და ბალტიისპირელებმა 85:81 იმარჯვეს.

მოსალოდნელია, რომ ისრაელში შენგელიას დაპირისპირება არაერთ მეგობართან მოუწევს, განსაკუთრებით კი, ეს, გერმანიასთან და იტალიასთან მატჩებზე უნდა ითქვას. გერმანელი ცენტრი იოჰანეს ვოიგტმანი და იტალიელი ფორვარდი ანდრეა ბარნიანი ესპანურ ბასკონიაში სწორედ თორნიკესთან ერთად ირჯებიან.

– ნამდვილად სახალისო იქნება ისრაელში იოს ნახვა. ის ძალიან კარგი ბიჭია და ჩვენი შერკინებაც უდავოდ პოზიტიურად წარიმართება. ანდრეასაც იტალიის ნაკრებში დიდი როლი აკისრია. ჩემს თანაგუნდელებთან მომავალ დაპირისპირებას მოუთმენლად ველი.

შეგახსენებთ, რომ შენგელიას ევროპირველობის კენჭისყრამდეც ვესაუბრეთ და მაშინ მას 1 სურვილი ჰქონდა: მთავარი იყო, საქართველოს ნაკრები თელ ავივის ჯგუფში მოხვედრილიყო, მეტოქეებს კი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

– ისრაელში თამაშის შესაძლებლობით ნამდვილად გახარებული ვარ, რადგანაც იქ ბევრი ქართველი ცხოვრობს. იმის მოლოდინი გვაქვს, რომ დარბაზში მისულები თავს შინაურ არენის მსგავსად ვიგრძნობთ. კარგ ატმოსფეროს კალათბურთელებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

25 წლის ფორვარდი იმითაც კმაყოფილია, რომ ზედიზედ მე-2 ზაფხულის გატარება მოუწევს ბერძენი სპეციალისტის ილიას ზუროსის მეთვალყურეობის ქვეშ.

– ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ის ჩვენთან ერთადაა. ზუროსმა პირველივე წელს უდიდესი სამუშაო გასწია. რეალურად, სანაკრებო ბატალიებისთვის 2-3 თვე თუ ემზადები, მან კი ამ დროში მოთამაშეთა შეცნობა კარგად მოახერხა და ზედმიწევნით იცის, ვისი რისი პოტენციალი აქვს. ილიასი კალათბურთში ჩინებულად ერკვევა და ტაქტიკურ თამაშშიც ძლიერია.

ეროვნულ ნაკრებში კონკრეტულად მის როლთან დაკავშირებით შენგელია ამბობს:

– ვცდილობ, ყოველთვის ლიდერთა შორის ვფიგურირებდე და როგორც შეტევაში, ასევე – დაცვაში, თანაგუნდელთა აყოლიება მოვახერხო. აგრესიული გარჯა სწორედ ამის წინაპირობაა. მინდა, მოედანზე მამოძრავებელი ძალა ვიყო და ნებისმიერ მონაკვეთზე ბოლომდე დავიხარჯო.

თორნიკეს არ სურს, ბევრი ისაუბროს კონკრეტული მიზნების შესახებ, რომლებსაც ქართველები მომავალ ევრობასკეტზე ისახავენ.

– გასულ ტურნირზე მერვედფინალში წავაგეთ და ნამდვილად არ მინდა, რომ იგივე განმეორდეს, თუმცა, პირდაპირ მეოთხედფინალზეც ვერ ვიფიქრებთ. ყველაფერს მეთოდურად, თამაშიდან თამაშამდე უნდა მივყვეთ და იმედი ვიქონიოთ, რომ მაქსიმალურად წინ წავალთ.

უდავოა, რომ საქართველოს ნაკრებს ევროპულ კალათბურთში თავისი სიტყვა უკვე ეთქმის, თუმცა შენგელია და კომპანია მაქსიმუმს გააკეთებენ, რათა მომავალი ევროპირველობის დროს ქართველ ქომაგებს ზეიმის მიზეზი არაერთხელ მიეცეთ.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

## ასტროპროგნოზი
### 1 მაისისათვის



**ვერძი** – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**





# რა პრობლემებს ქმნის ინფექციები რეპროდუქციაში

ეკა ირემაშვილი

ტოქსოპლაზმა, წითურა, ქლამიდია, ციტომეგალოვირუსი, ჰერპეს ვირუსი ის ინფექციებია, რომლებიც ადამიანებში რეპროდუქციულ პრობლემებს ქმნიან. ამიტომაც ამ ინფექციების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებაა საჭირო.

ინფექციურ პრობლემებთან ერთად, არანაკლებ საყურადღებოა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებიც – გონორეა, ტრიქომონიაზი, სიფილისი ანუ ათაშანგი, ურეაპლაზმოზი, მიკოპლაზმოზი, ქლამიდიოზი. სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებს მიეკუთვნება ასევე ჰეპატიტი ბე, ჰეპატიტი ცე, შიდსი.

რატომ არის საშიში ინფექციები და როდის არის საჭირო გამოკვლევების ჩატარება? – ამ თემებზე არჩილ ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტის რეზიდენტი რუსუდან გაგნიძე საუბრობს.

**რუსუდან გაგნიძე:**

– ინფექციებიდან ტოქსოპლაზმა, წითურა, ქლამიდია, ციტომეგალოვირუსი, ჰერპეს ვირუსი, განსაკუთრებით საყურადღებოა ტოქსოპლაზმა და ციტომეგალოვირუსი, რომლებიც მაღალი ტოქსიკურობით ხასიათდებიან, უარყოფითად მოქმედებენ ნაყოფზე, იწვევენ სხვადასხვა პათოლოგიის განვითარებასა და ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას.

***– რას იტყვით სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებზე?***

– სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებია გონორეა, ტრიქომონიაზი, სიფილისი ანუ ათაშანგი, ურეაპლაზმოზი, მიკოპლაზმოზი, ქლამიდიოზი.

სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებს მიეკუთვნება აგრეთვე ჰეპატიტი ბე, ჰეპატიტი ცე, შიდსი.

***– რა გავლენას ახდენენ ეს ინფექციები რეპროდუქციულ ფუნქციაზე?***

– ეს ინფექციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეპროდუქციულ ფუნქციაზე, მამაკაცებში აქვეითებენ სპერმატოზოიდების რაოდენობასა და მოძრაობის უნარს, ხოლო ქალებში აზიანებენ საშვილოსნოს მილებს, იწვევენ ანთებით პროცესებსა და ისეთ გართულებებს, როგორებიცაა, საშვილოსნოს გარე ორსულობა, საშვილოსნოს მილების ობსტრუქცია ანუ დახშობა, მცირე მენჯის ღრუს შეხორცებითი პროცესების განვითარება.



რუსუდან გაგნიძე

***– რა კლინიკური ნიშნები ახასიათებს ამ ინფექციებს?***

– მამაკაცებში კლინიკური ნიშნები ნაკლებად არის გამოხატული, ხოლო ქალებს აღენიშნებათ ტკივილი, გამონადენი სასქესო გზებიდან და დისკომფორტის შეგრძნება.

***– როდის არის აუცილებელი კვლევა ვირუსებსა და ინფექციებზე?***

– ზემოთ აღნიშნულ ინფექციებსა და ვირუსებზე რეკომენდებულია, გამოკვლევა ჩაიტარონ მაღალი რისკის ჯგუფის პაციენტებმა. დროული მკურნალობა თავიდან აგვაცილებს რეპროდუქციულ ფუნქციასთან დაკავშირებული პრობლემებსა და ორსულობის გართულებებს.

## ჟანრი ლოლაშვილი 75 წლისაა

თეატრისა და კინოს მსახიობი ჟანრი ლოლაშვილი იუბილარია. მას 75 წელი შეუსრულდა. ხელოვანი, რომელიც მრავალმხრივი ნიჭით არის დაჯილდოებული და, მსახიობობის პარალელურად, არაჩვეულებრივად ხატავს და უგემრიელეს კერძებსაც ამზადებს, დაბადების დღეს გამორჩეულად არასოდეს აღნიშნავს.

რუსთაველის თეატრის მსახიობი ბოლო დროს სცენაზე იშვიათად დგას, თუმცა 50 წელი სწორედ თეატრსა და კინოს მიუძღვნა. „რომეო და ჯულიეტა“, კავკასიური ცარცის წრე“, „ყვარყვარე“ იუბილარი მსახიობის მონაწილეობით დადგმული სპექტაკლების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია. ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი, სადაც მსახიობმა ითამაშა, არის „კაცია-ადამიანი?!“, რომელშიც ლუარსაბის როლს ასრულებს.

მსახიობი კინოსაც დიდ დროს უთმობს, ბოლო პერიოდში კი სერიალებში მონაწილეობაზეც თანხმობა განაცხადა. ერთ-ერთი ყველაზე დასამახსოვრებელი როლი ბიძინა თაბაგარია სერიალში „ცხელი ძაღლი“, რომელიც ამერიკულმა ტელეკომპანიებმაც კი შეისყიდეს.

ბოლო პერიოდში ყველაზე მეტ დროს ხელოვანი თავის სახელოსნოში ატარებს, სადაც ახალ ტილოებს ქმნის.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კალეიდოსკოპი

### პოტენციურმა მყიდველებმა გამჭვირვალე ჯინსები გააკრიტიკეს



მოდური ბრენდის ტოპშოპის ჯინსის მოდელმა, რომელიც მთლიანად გამჭვირვალე პოლიურეთანისგან არის დამზადებული, მის პოტენციურ მყიდველთა შორის ნეგატიური რეაქცია გამოიწვია.

ახალი ნაწარმი მარკის ამერიკულ ვებგვერდზე 100 დოლარად იყიდება. აღწერის თანახმად, მის ჩაცმას ფესტივალებსა და კოსტიუმირებულ საღამოებზე ურჩევენ. კომპანიის სტილისტების აზრით, შარვალი ყოველდღიური მოხმარებისთვისაც შესაფერისია.

– ხალხი, რა თქმა უნდა, თქვენზე გარანტირებულად იმსჯელებს, – ნათქვამია ბრენდის ვებგვერდზე.

ტვიტერის მომხმარებლებმა, რომლებმაც გამჭვირვალე ჯინსებს ყურადღება მიაქციეს, ეჭვი შეიტანეს მათ პრაქტიკულობაში და ფიქრობენ, რომ აღნიშნულმა მარკამ თავის დიზაინერულ ექსპერიმენტებში მეტისმეტად შორს შეტოპა.

– სახლში წადი, ტოპშოპ, მთვრალი ხარ! – დაწერა ინტერნეტში ერთ-ერთმა მისმა მომხმარებელმა.

ასევე გამოითქვა ვარაუდი, რომ გამჭვირვალე ჯინსის შარვლები ოფლის ძლიერ გამოყოფას შეუწყობს ხელს.

### ჩრდილოეთ კაროლინაში ალიგატორებმა გოლფის მოედანზე იჩხუბეს

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატში გოლფის მოყვარულები ორი ალიგატორის შერკინების თვითმხილველები გახდნენ.

მტაცებელმა რეპტილიებმა სათამაშო მოედნის წყალსატევის ნაპირთან გადაწყვიტეს ურთიერთობის გარკვევა. თვითმხილველთა შეფასებით, ერთ-ერთი ალიგატორის სიგრძე სამნახევარ მეტრს აღემატებოდა, ხოლო მისი მოწინააღმდეგე დაახლოებით ერთი მეტრით მასზე პატარა იყო. ის ცდილობდა მასზე გაცილებით დიდი ალიგატორის ყბებისგან დაეხსნა თავი, მაგრამ მეტოქე არ უშვებდა.



როდესაც რეპტილიამ მოძრაობა შეწყვიტა და გაირინდა, თვითმხილველებმა გადაწყვიტეს, რომ ის მოკვდა, მაგრამ მალე ორთაბრძოლა განახლდა. შედარებით პატარა ალიგატორმა თავის განთავისუფლება მოახერხა და ძლიერ მეტოქეს გაშორდა.

ეს ყოველივე ვიდეოზე ერთ-ერთმა გოლფისტმა გადაიღო და იუთუბიზე გამოაქვეყნა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სკანვორდი




1. ჩოგბურთის სათამაშო ჩოგანი; 2. ფინური აბანო; 3. თვითნებობასა და ძალადობაზე დამყარებული მმართველობა; 4. „გველის ...“; 5. ... კალანდაძე; 6. იუპიტერის თანამგზავრი; 7. მინერალი; 8. ყვავილი; 9. ერთ-ერთი მშობელი; 10. მუდამ, ყოველთვის; 11. ... პაჩინო; 12. ფრანგი მწერალი (XX ს.); 13. შვლის ნაშიერი; 14. ერთ-ერთი კონტინენტის ნაწილი; 15. ტიკის პატარა მილი ღვინის გადმოსასხმელად; 16. „ოტელოს“ პერსონაჟი; 17. სხვადასხვა სახეობის ორი ორგანიზმის თანაცხოვრება; 18. ვარსკვლავისებური; 19. მდინარე საფრანგეთში; 20. აფროდიტეს ერთ-ერთი ეპითეტი; 21. ძუნწი; 22. სამაგიდო თამაში; 23. იგივეა, რაც მსუნაგი; 24. მცირე ზომის პარაზიტი ცხოველი; 25. მცენარე წვრილი, შავი ნაყოფით; 26. ძვირფასბეწვიანი მღრღნელი ცხოველი; 27. მამაკაცის სასიმღერო ხმა; 28. საწინდარი; 29. ... ბერიმორი; 30. აკრძალვა; 31. ესტონელი მოჭადრაკე ქალი; 32. გეომეტრიული სხეული.

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. გოტარდი; 2. პალანგა; 3. ტრიუმო; 4. ჩექმა; 5. აბრსკილი; 7. ნიუ; 11. რუტერი; 15. კნეთელი; 16. ტყლაპი; 17. სააბი; 18. აყირო; 20. ტუმბო; 22. ნიცა.

**თარაზულად:** 6. ოდეონი; 8. ბარტერი; 9. ნექტარი; 10. ანანური; 12. ბემბი; 13. არიკი; 14. კარტინგი; 19. პრელატი; 21. ბატონი; 23. ყველი; 24. აბზაცი; 25. ალგებრა; 26. კოსტიოლი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ჭონა; 2. შკოდა; 3. გრაალი; 5. ღვინო; 6. მოწამეთა; 8. უსახელაური; 10. დემარში; 12. ქიშმიში; 14. ჭირხლი; 15. ყაბახი; 16. მზაღო.

**თარაზულად:** 1. ჭყვიში; 4. აღდგომა; 7. იკორთა; 9. ლენონი; 11. ჰაჯიბეი; 12. ქობულეთი; 13. მახვში; 17. სტიაუა; 18. პუმა; 19. აშპაშხანა; 20. ჯინობილი.

# ხატია ბუნიათიშვილი ფრანგული ტელევიზიის ეთერში მიიწვიეს



ქართველი პიანისტი ხატია ბუნიათიშვილი, რომელიც საფრანგეთში ცხოვრობს, უცხოური პრესისა და ტელევიზიის ხშირი სტუმარია.

ამჯერად ხატია ფრანგულმა ტელეკომპანიამ „ფრანსე 24“-მა თავის ეთერში მიიწვია და საკმაოდ ვრცელი საეთერო დროც დაუთმო. ქართველი მუსიკოსის მიმართ ჟურნალისტები მრავალფეროვან ეპითეტებს არ იშურებენ და „კლასიკური მუსიკის პოპვარსკვლავსაც“ უწოდებენ, მის კონცერტებს კი, თავისი მუხტითა და განწყობით, როკკონცერტებს ადარებენ.

ხატია ბუნიათიშვილმა ფრანგული ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში თავის ახალ ალბომზე, საყვარელ კომპოზიტორებზე, ქოლდფლეისთან თანამშრომლობასა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

# სალომე კორკოტაშვილი დიდი ბრიტანეთის მუსიკალური ჩარტების ლიდერია



ქართველმა მომღერალმა სალომე კორკოტაშვილმა საკუთარი მუსიკალური შესაძლებლობების უცხოეთში რეალიზება გადაწყვიტა და საქართველოდან წავიდა.

მომღერალი, რომელიც ბოლო პერიოდში სიმღერებსაც წერს და სხვადასხვა უცხოური ხმის ჩამწერი კომპანიის ყურადღებასაც იქცევს, დიდი ბრიტანეთის მუსიკალური ჩარტების პირველ ადგილზე აღმოჩნდა.

ინფორმაცია ამის შესახებ სალომემ თავად გაავრცელა და ერთგულ მსმენელებს სხვა სიახლეებიც გააცნო:

– პირველ ადგილზე ვარ ბრიტანეთში 1141 მუსიკოსიდან! როგორ მიხარია!

ტეხასში მყოფმა ერთ-ერთმა კომპანიამ კი შეარჩია ჩემი სიმღერა, რომელსაც უფასოდ დაამუშავებს. ეს კომპანია თანამშრომლობს ისეთი დონის კლიენტებთან, როგორებიც არიან იუნივერსალ, ვარნერ ბრაზერს და დისნეი. ისინი ელოდებიან, როდის ჩაიწერება ჩემი ახალი სიმღერა სახელწოდებით „მაი ლაიფ“. შემდეგ კვირას ჩავწერ სიმღერას სტუდიაში უნიჭიერეს ქართველ მუსიკოსებთან ერთად.

# ინდირა ჯგერნაიამ შვილი გამოაჩინა



მომღერალი ინდირა ჯგერნაია თავის შვილს აღარ მალავს და ის ფართო საზოგადოებას საჯაროდ წარუდგინა.

ანდრია სექტემბერში დაიბადა და ამ დრომდე მისი ნახვის შესაძლებლობა მხოლოდ მომღერლის ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და მეგობრებს ჰქონდათ. ინდირა თავის ბიჭს საგულდაგულოდ მალავდა, განსაკუთრებით კი – ჟურნალისტებისგან.

ინდირას ბიჭის ფოტომ ინტერნეტში დიდი მოწონება დაიმსახურა. პატარა ანდრიას ფოტოებს უამრავი მოწონება და დადებითი კომენტარი აქვს.

# გვირილობის დღესასწაულის გამო ქუთაისში დაპირისპირებაა




2 მაისს ქუთაისში ყოველწლიური სახალხო დღესასწაული – გვირილობა – გაიმართება, რომელიც დაპირისპირების მიზეზი გახდა.

გალაკონცერტის ორგანიზატორებისგან განმარტებებს ადგილობრივი მუსიკოს-შემსრულებლები ითხოვენ. მათი თქმით, ქუთაისში დაგეგმილი კონცერტის პროგრამაში ადგილობრივი ხელოვანები ვერ მოხვდნენ.

ქუთაისის ხელმძღვანელობა ადგილობრივი მუსიკოს-შემსრულებლების ბრალდებების საპასუხოდ აცხადებს, რომ მათ გალაკონცერტში მონაწილეები ქუთაისელების სურვილების გათვალისწინებით მიიწვიეს.

# ჩარგალში სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა



ჩარგლის ტერიტორია დაბინძურებულია და არსებული გარემო სიცოცხლისთვის საშიშია.

ინფორმაციასა და ფოტოებს ინტერნეტში მარიამ ავაკოვა ავრცელებს და შესაბამის უწყებებს მოუწოდებს, ტერიტორიას მიხედონ:

– ვინმემ ხომ უნდა გადადგას ნაბიჯი და თქვას პრობლემის შესახებ. რამდენადაც არ უნდა მსიამოვნებდეს მსგავსი პეიზაჟებისა და საქართველოს სამარცხვინო მდგომარეობის გაზიარება, სამწუხაროდ, უნდა გავაზიარო ის, რაც ვიხილეთ საველე გასვლის დროს ჩარგალში. არასასურველ გარემოში მოგვიხდა პრაქტიკული საველე სამუშაოების შესრულება, რამდენადაც არ გვქონდა სურვილი, რომ გაგვესუფთავებინა, ჩვენ ამას ვერ გავართმევდით თავს მარტივი მიზეზით – არც მაგის დრო და არც საკმარისი საშუალებები არ გვქონდა, ვინაიდან ძალიან არაჰიგიენური და ჯანმრთელობისთვის საშიში დაბინძურებული გარემოა, ხელთათმანებისა და დამცავი ხელსაწყოების გარეშე შეუძლებელია დასუფთავება, ვინაიდან იქ სამუშაოების დროს გველი დაგხვდა...

მინდა, მოვუწოდო გარემოს დაცვის სამინისტროს და ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტს, მიიღონ სპეციალური ზომები და დამცავი შესაძლებლობები, რათა უსაფრთხოდ მოხდეს ამ ტერიტორიის მთლიანად დასუფთავება... არ არის სასიამოვნო ამ დაბინძურებულ გარემოში ხინკლის მირთმევა, რომელსაც როგორც ტურისტები, ასევე საქართველოს მოქალაქეებიც სტუმრობენ.

# ლევან ღვინჯილია მთავრობას: „ნუ ბლოკავთ საქართველოს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ“



ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, დაასრულოს საქართველოს კანონის სახელმწიფო ენის შესახებ დაბლოკვა.

ღვინჯილია ბიზნესომბუდსმენის მიერ ლოგოს თარგმნის წინააღმდეგობას ეხმაურება:

– ამის დამწერსა და გამავრცელებელს, როგორც ჩანს, წარმოდგენა არა აქვს, რაზე მსჯელობს!!! ხვალ და ზეგ უარესს უნდა მოველოდეთ, სანამ მთავრობა ბლოკავს „საქართველოს კანონს სახელმწიფო ენის შესახებ“... სამწუხაროა და, ცოტა არ იყოს, უხერხულიცაა, ბიზნესომბუდსმენმა არ იცოდეს, რას ნიშნავს „თარგმნა“ და რა არის „ტრანსლიტერაცია“. ეს ის შემთხვევა არ არის, როცა „არცოდნა არცოდვაა“.

# ქართველ მხატვარს სალვადორ დალის ადარებენ



ქართველ მხატვარ მირიან მაისაშვილს მსოფლიოში აღიარებულ მხატვარს სალვადორ დალის ადარებენ. ხელოვანი ფართო საზოგადოებას მომღერალმა ნინო ბაშარულმა გააცნო:

– მინდა წარმოგიდგინოთ არაჩვეულებრივი, ანუ ჩარჩოებს გადაცილებული, ნამდვილი, სულით და ხორცით ხელოვანი მხატვარი მირიან მაისაშვილი და მისი ნახატები. ერთად გავაცნოთ ქვეყანას უნიჭიერესი ადამიანები, რომლებიც არასოდეს მიმართავენ საკუთარი თავის პოპულარიზაციის ხერხს, რადგან უბრალოება და თავმდაბლობა არ აძლევს ამის საშუალებას...

გენიოსები არასოდეს ცდილობენ ყურადღების ცენტრში ყოფნას, სიმყუდროვე უყვართ, თუნდაც შიმშილისგან სიკვდილი ემუქრებოდეთ, მაინც არ ეცდებიან თვალში გაჩხერას... რადგან ისინი უფლის რჩეულნი არიან და ეს ღირსება ჰყოფნით... დაე, ჩვენ და სხვებმა შევამჩნიოთ ასეთები და დავეხმაროთ მათი ნიჭის გავრცელებაში! მჯერა, რომ ვაზროვნებთ და თვალებითაც კარგად ვიხედებით.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## იაპონელმა სამი წელი ტუალეტში იცხოვრა

იაპონიის ოიტას პრეფექტურის ქალაქ უსუკიში დააპატიმრეს მამაკაცი, რომელიც რამდენიმე წელი საზოგადოებრივ ტუალეტში იმალებოდა.

საცხოვრებელი, რომელიც იაპონელმა შენობის ძნელად მისადგომ სხვენში მოაწყო, ელექტროობის გამოცვლის დროს აღმოაჩინეს. როგორც ჩანს, მამაკაცი იქ ჭერში არსებული 50 სანტიმეტრის ხვრელიდან ადიოდა.

სახელმწიფო მოსამსახურე, რომელმაც სხვენი დაათვალიერა, ამტკიცებს, რომ მამაკაცს იქაურობა დალაგებული და დასუფთავებული ჰქონდა. იქ ნახეს გაზქურა, ელექტროგამათბობელი, ტანსაცმელი და რამდენიმე ასეული ბოთლი შარდით.

მამაკაცმა პოლიციელებს განუცხადა, რომ საზოგადოებრივ ტუალეტში საცხოვრებელი სამი წლის წინ მოიწყო, როდესაც იქიდან წინა მცხოვრები გადავიდა. სამართალდამცავებმა ქალაქ უსუკის ყველა საზოგადოებრივი ტუალეტი გაჩხრიკეს, რის შემდეგაც განაცხადეს, რომ ახლა უკვე იქ აღარავინ ცხოვრობს.



## კალეიდოსკოპი



### ისლანდიაში ცალრქიანი ცხვარი ნახეს

ისლანდიაში ფერმერებმა ცალრქიანი ცხვარი აღმოაჩინეს. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ცხოველის პატრონ ერლი ტორი ოლასფსდოტირის თქმით, მისი რქები ერთმანეთს შეეხორცა და მხოლოდ სულ ბოლოში დაიტოტა. მისი ვარაუდით, ეს მუტაციაა, ვინაიდან მის მშობლებს ორ-ორი რქა ჰქონდათ.

უცნაური გარეგნობის გამო მეცხვარეებს ცხოველი თავდაპირველად თხა ეგონათ. ოლქში მცხოვრები მოხუცი ფერმერები უცნაური ცხვრის სანახავად ოლასფსდოტირისთან ჩამოდიან, თავად ცხვარს კი პატრონმა სახელად ეინჰირნინგური (ცალრქა) დაარქვა.

პატრონმა ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ეინჰირნინგური მშვიდი ხასიათით გამოირჩევა, თუმცა ზოგჯერ სხვა ცხვრებთან შეხლა-შემოხლასაც აქვს ადგილი.

### „მსოფლიოს ყველაზე ლამაზი დამნაშავე“ დიდი ბრიტანეთიდან გამოაძევეს



ამერიკელი ჯერემი მიკსი, რომელმაც 2014 წელს სახელი გაითქვა, როგორც „ყველაზე ლამაზმა დამნაშავემ მსოფლიოში“, ლონდონის ჰიტროუს აეროპორტში დააკავეს და მისი აშშ-ში დეპორტაცია განახორციელეს.

32 წლის მიკსი, რომელიც 2016 წელს საპატიმროდან გათავისუფლების შემდეგ მოდელი გახდა, ბრიტანეთის დედაქალაქში გადაღებებზე იყო ჩასული.

– ის ძალიან გულდაწყვეტილია. პოლიციელებმა მიკსი უკანვე თვითმფრინავში დააბრუნეს, – განაცხადა მიკსის მენეჯერმა ჯიმ ჯორდონმა და იქვე დაამატა, რომ ჯერემის ყველა საჭირო საბუთები ჰქონდა ბრიტანეთში შესასვლელად.

მიკსი უკან, ნიუ იორკში გაფრინდა, ხოლო მისი მეუღლე და მენეჯერი ლონდონში დარჩნენ. ჩაშლილი გადაღებების ბედსა და, მთლიანობაში, მიკსის სამომავლო გეგმების თაობაზე არაფერია ცნობილი.

## მთვრალი ამერიკელი რობოტ-მცველს თავს დაესხა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მაუნტინ-ვიუში დააკავეს მთვრალი მამაკაცი, რომელმაც ქუჩის რობოტი-მცველი გადააყირავა.

41 წლის ამერიკელი ჯეისონ სილვეინი კომპანია Knightoscope-ს და რობოტ კ5-ს დაესხა თავს, როდესაც ის ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ავტოსადგომს იცავდა. მანქანა, რომლის წონა 140 კილოგრამს შეადგენს, გვერდით გადავარდა და ადამიანის დაუხმარებლად ადგომას ვერ ახერხებდა.



სილვეინს დიდი ხნის განმავლობაში უმიზეზოდ ხეტიალისა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას მთვრალ მდგომარეობაში ყოფნის ბრალდება წაუყენეს.

ინციდენტის შედეგად რობოტი დაიფხაჭნა, თუმცა რაიმე სახის სერიოზული დაზიანებები არ მიუღია და მალე მან პატრულირება გააგრძელა.

რობოტის მწარმოებელი კომპანიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, კ5-ს შეუძლია, ავტონომიურ რეჟიმში განახორციელოს მოცემული ტერიტორიის პატრულირება და რეაგირებს შემხვედრ წინააღმდეგობებზე. ის ასევე ახორციელებს პანორამულ ვიდეოთვალთვალს, ამჩნევს უჩვეულო აქტიურობას და ინფორმაციას დაცვის სამსახურს აწვდის.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## პროგრამა

**ორშაბათი 1 მაისი**

**07.00** დოკ/ფ "ენტონი ბურდეინი" წინასწარი შეკვეთის გარეშე" **08.00** კუნგ-ფუ პანდას საოცარი ლეგენდები" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "გურმანია" **14.30** "წიგნების თარო" **15.00, 03.00** "C სტუდია" **16.45** "ეკონომეტრი" **17.00, 04.00** "რეალური სივრცე" **21.00** ფონდი "ნატვრის ხე" და ნინო სურგულაძე წარმოგიდგენთ საქველმოქმედო კონცერტს **23.00** "ეროვნული ლიგის მიმოხილვა" **23.20** მხ/ფ "**რეალობა იკბინება**" (ი.ჰოუკი) **01.00** მხ/ფ "**სამოთხეში დაბრუნება**" (ვ.ვონი)

**08.00** დოკ/ფ "ეფლი" **09.00** დოკ/ფ "ჟან-პოლ გოტიე" **10.00** დოკ/ფ "კიდევ სცადე" **11.00** დოკ/ფ "გიიკების რევანში" **12.00** დოკ/ფ "შავი მატერიის საიდუმლო" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დოკ/ფ "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება სანიმუშო სოფელში" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დოკ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **21.30** "გამომძიებელი რეპორტიორი" **22.00** ტ/სერ. "**ჩიკაგოს პოლიცია**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო" **01.00** მხ/ფ "**გაქცევა**"

**05.50, 14.40** სერ. "**ელიფი**" **07.30** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.00** ქრონიკა **11.20** სერ. "**ფიცი**" **12.30** იმედის დღე **17.35** სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" **18.45, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**ნამსხვრევები**" **22.30** მხ/ფ "**შეუსრულებელი მისია 3**" **01.00** მხ/ფ "**ოლიმპოს დაცემა**" **03.15** მხ/ფ "**სისხლიანი სპორტი**"

**06.00, 18.30** სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" **06.45, 19.57** სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ყველაზე ლამაზი**" **15.30** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**დაკარგული წლები**" **22.00** X-ფაქტორი

**08.00** ან/სერ. ფანბოი და ჩამჩამი **09.00, 13.00** სერ. "**აღქმა**" **11.00, 17.00** სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" **15.00** სერ. "**ანტიმაფია**" **19.00** სერ. "**გაბოროტებული**" **21.00** სერ. "**ანგარიშსწორება**" **22.30** მხ/ფ "**გადამზიდი**" **00.15** მხ/ფ "**გადამზიდი 2**" **01.55** მხ/ფ "**გიჟური რბოლა**" **03.50** მხ/ფ "**გაქცევა**"

**06.15** ღვთის სახლი **06.35** პატერიკი-მოწყალე მღვდლის შესახებ **06.45** ქართული ალბომი **07.20** ჩვენი საგანძური **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.25** საკვირაო სახარების განმარტება **10.35** დ/ფ "რკონი" I **11.10** კვირიაკე **12.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ/ფ "**ცისკარა**" **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** დეკორატიული ფლორა-"პიონი-იორდასალამი" **15.05** ქართული ან/ფ **15.15** დ/ფ "მენელსაცხებლე დედები" **16.15** სპექტაკლი-"**კაცი, რომელსაც ლიტერატურა უყვარდა**" **17.20** ჩვენი ფონდი "წმ. ბასილ დიდი, წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველი, წმ. ათანასე დიდი" **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.10** სიახლენი **19.20** მიწათმოქმედი "ნიადაგი და თესლი" **19.40** საქართველო ევროპულ ოჯახში **20.40** ძილი ნებისა "ტომი და ჯერი" **21.00** პატრიარქის ქადაგება **21.20** პატერიკი-სიბრძნე ბალავარისა-იგავი სამი მეგობრის შესახებ **21.30** საეკლესიო აღმშენებლობა **22.15** პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან-"არჩილ ჯორჯაძე" **22.40** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.45** ღვთის სახლი "წმინდა გიორგის მოღნისის ტაძარი" **00.30** სათავეებთან "კონსტანტინე გამსახურდია" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (სურდო გახმოვანებით) **8.00, 13.30, 15.30** სერ. "**მიცანი თუ შეძლებ**" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.40** "ბიზნეს კონტაქტი" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00, 20.55, 18.50** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **19.50** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **22.30**, სერ. "**გემი**" **23.50** სერ. "**ესკობარი**" **1.30** "კონტაქტი" **2.00** სერ. "**ცენტრალური საავადმყოფო**"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

1 მაისისთვის

აშშ დოლარი — 2.4416

ევრო — 2.6701

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.1604

100 რუსული რუბლი — 4.2768

**ამინდის პროგნოზი**
1 მაისისთვის







## 26 აპრილიდან

ქართული დეტექტივი, ტომი 11

**სამხილი მარლბოროს კოლოფზე**

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 27 აპრილიდან



სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

საბავშვო მოთხრობები
მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი



## 4 მაისიდან

სერია „ქართული საუნჯე“ ბავშვებს

50 საბავშვო ლექსი
მაგარი ყდა, ფერადი

ფასი გაზეთთან ერთად 15 ლარი



## 2 მაისიდან

ჯოვანი ბოკაჩო

**დეკამერონი**

I ნაწილი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




## იუმორი

●●●

კურორტზე ჩამოსული გოგონა ავტომატურ სასწორთან მივიდა, მონეტა ჭრილში ჩაუშვა და სასწორზე დადგა. შედეგით უკმაყოფილომ, ლაბადა გაიხადა, ისევ ჩააგდო მონეტა და ისევ დადგა სასწორზე. ისევ უკმაყოფილო დარჩა. ახლა ფეხსაცმელი გაიხადა, აიწონა და კვლავ უკმაყოფილოდ გადააქნია თავი. ამ დროს მასთან იქვე მდგომი მამაკაცი მივიდა და ეუბნება:

– დაიცადე, ძვირფასო, ამის მერე ვიხდი ფულს...

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ხომ არ იცი, გუშინ ტელევიზორში რა თქვა ჩვენმა პრემიერმა?

– რომ მალე ყველაფერი კიდევ უფრო უკეთესად იქნება.

– არა, უკეთესად არ გვინდა!

●●●

ჩატში ერთი მეორეს სწერს:

– ინტერნეტში ყველანი მამაცები, მაგრები ხართ. და შეგიძლია, ყველაფერი პირდაპირ სახეში მითხრა?

– რა პრობლემაა, შენი ფოტო გამომიგზავნე.

●●●

დედამ თავისი 18 წლის გოგონა ექიმთან მიიყვანა და ეუბნება:

– ექიმო, ჩემს გოგონას ბოლო დროს თავბრუსხვევა და გულისრევის შეგრძნება აქვს.

ექიმმა გოგონა გულდასმით გასინჯა და დედას ეუბნება:

– თქვენი შვილი ოთხი თვის ფეხმძიმეა.

– რას ამბობთ, ექიმო, ჩემი გოგონა ბიჭებს ახლოსაც არ გაჰკარებია... ხომ ასეა, შვილო?

– კი, დედა, ერთხელაც კი არ მიკოცნია ბიჭისთვის.

ექიმი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და გარეთ იყურება.

ქალმა ითმინა, ითმინა და ბოლოს ეკითხება:

– რა ხდება, ექიმო, რას უყურებთ?

– ქალბატონო, უბრალოდ, ასეთ შემთხვევაში აღმოსავლეთით კაშკაშა ვარსკვლავი უნდა ამობრწყინდეს და გორაკიდან მოგვები უნდა ჩამოვიდნენ, ჰოდა მეც ველოდები...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





ილია ჭავჭავაძის მკვლელობა დღემდე ბურუსითაა მოსილი. ლაშა იმედაშვილი რომანში **„სამი მკვლელობა ძველ თბილისში“** ამ ტრაგედიის საკუთარ ვერსიას სთავაზობს მკითხველს.

**„პატრიარქის ზაფხული“** კი პატრიარქ კირიონის ასევე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას ეხება.

დეტექტიური სიუჟეტის პარალელურად, რომანებში აღწერილია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების თბილისისა და საქართველოს ცხოვრება.

ლაშა იმედაშვილის მაღალი სამწერლო ოსტატობა და განუმეორებელი სტილი მკითხველს დიდ სიამოვნებას მიანიჭებს.


# თორნიკე შენგელია: „წინა ევრობასკეტზე მერვედფინალში წავაგეთ. არ გვინდა, იგივე გამეორდეს“

შემოდგომაზე საქართველოს საკალათბურთო ნაკრებს უმნიშვნელოვანესი ტურნირი ელის – ევრობასკეტი. საქართველოს ნაკრებმა ევროპირველობის ფინალურ ეტაპზე ასპარეზობის უფლება ზედიზედ მეოთხედ მოიპოვა, თანაც, გასულ ზაფხულს ჩატარებულ საკვალიფიკაციო ეტაპზე, ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.



მომავალ ტურნირამდე ფიბას ვებგვერდი მკითხველს გუნდებსა და კალათბურთელებს აცნობს. ამჯერად ჩვენი ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის თორნიკე შენგელიას რიგი დადგა, რომელსაც საკმაოდ ვრცელი სტატია მიუძღვნეს.

შენგელიამ ხსენებულ ციკლში ქულებსა (საშუალოდ 17.2) და მოხსნებში (8.0) გუნდის ლიდერი გახლდათ, საქართველომ კი 6-დან მხოლოდ 1 მატჩი წააგო ჩერნოგორიასთან.

თორნიკეს აზრით, საქართველოს ნაკრებმა ევროპულ კალათბურთში თავის დამკვიდრება უკვე მოახერხა, ახლა კი, ევრობასკეტ-2017-ზე მორიგი ნაბიჯის გადადგმის დროა, რაც ქართველ ბავშვებში მორიგ საკალათბურთო ბუმს გამოიწვევს.

**თორნიკე შენგელია:**

– ევრობასკეტზე შესარჩევი ჯგუფის გამარჯვებულის რანგში გასვლა იოლი ნამდვილად არაა ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა. ფინალურ ეტაპზე მიჯრით მეოთხედ თამაში უბრალო საქმე არა გახლავთ. ეს, ქართველი ბავშვებისთვისაც კარგი მაგალითის მიმცემია. ჩვენ მათ გზას ვაჩვენებთ. ქუჩაში დგომისა და უსაქმურობის ნაცვლად, სჯობს, კალათბურთის თამაშით დაკავდნენ.


გაგრძელება მე-10 გვერდზე


## ამერიკელმა გოგონამ, ბარბის რომ დამსგავსებოდა, 32 ათასი დოლარი დახარჯა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ ლოს-ანჯელესის მცხოვრებმა 32 ათას დოლარზე მეტი დახარჯა იმისთვის, რომ თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

ოფელია ვანიტიმ გაიკეთა ბოტოქსის ინექცია, დერმალური შემავსებელი (ფილერი) და სხვადასხვა კოსმეტიკური პროცედურა. ასევე მან შეიცვალა მკერდის ფორმა, გაიკეთა გლიუტეოპლასტიკა (დუნდულების პლასტიკა). გოგონა ასევე ნეკნის მოშორებას გეგმავს, რათა წელი უფრო წვრილი გაუხდეს. 30 წლის ვანიტის თქმით, ის ბავშვობიდან იყო გატაცებული თოჯინა ბარბით, ხოლო ასაკის მატებასთან ერთად მიხვდა, რომ სურდა, ლეგენდარულ თოჯინას დამსგავსებოდა.

## ციურიხში გიგანტური თოვლის კაცი ააფეთქეს

გაზაფხულის ზეიმი Sechselauten შვეიცარიის ქალაქ ციურიხში გიგანტური თოვლის კაცის დაწვით დასრულდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

ფიგურა, რომელიც ზამთარს განასახიერებს, ბოძზე დადგეს და მაშხალებით გამოტენეს, ამასთან, ყველაზე დიდი მუხტი თავში ჩადეს.



შვეიცარიელები მიიჩნევენ, რომ ის რაც უფრო სწრაფად აფეთქდება, მით უფრო კარგი ამინდი იქნება ზაფხულში. წელს თოვლის კაცი ცეცხლმა ცხრა წუთსა და 56 წამში გაანადგურა.

სარეკორდო დრო 2003 წელს იქნა დაფიქსირებული, როდესაც თოვლის კაცის თავი ხუთ წუთსა და 42 წამში აფეთქდა. ის ზაფხული მართლაც საკმაოდ ცხელი გამოდგა. ყველაზე დიდხანს თოვლის კაცის ფიგურამ 2016 წელს გაძლო, როდესაც მის აფეთქებას მთელი 43 წუთი და 34 წამი ელოდნენ. თუმცა გასულ წელსაც ზაფხული მშრალი და ცხელი გამოდგა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი



**თარაზულად:** 4. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 5. მოკლელულიანი მსუბუქი თოფი; 6. ... როტარუ; 7. ეგვიპტელთა მცენარეულობის, მთვარისა და ნილოსის ღმერთი; 8. ნოტის ნახევარი ტონით დასადაბლებელი ნიშანი; 10. ოცკაპიკიანი (ძვ.); 13. მამაკაცის მოკლე, უსაყელო და უსახელოებო სამოსი; 15. ფსიქიკური აშლილობის ფორმა; 16. მშობელი; 17. სასწორის თეფში; 20. ნიგერიის დედაქალაქი; 21. ტკბილი, ბლანტი დესერტი; 22. გამოგონების დამადასტურებელი მოწმობა; 23. წონის სააფთიაქო ერთეული (ძვ.).

**შვეულად:** 1. კოსმეტიკის სახეობა; 2. მუსიკალური საკრავის აწყობის დროს ხმარებული ხელსაწყო; 3. კრედიტის გამცემი დაწესებულება ნივთიერი გირაოს სანაცვლოდ; 4. პროტესტანტების მღვდელი; 5. ძვირფასი ქვების წონის ერთეული; 9. ერთგვარი საველე სიმაგრე ომის დროს (ძვ.); 11. სკივრი; 12. მეკობრე; 14. დაბალი ხარისხის მურა ქვანახშირი; 18. კათოლიკეთა მღვდელი; 19. ქართული ტელეარხი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*